



ევროკავშირი
საქართველოსთვის



საკარლამენტო კონტროლი
მეათე მოწვევის პარლამენტში

მეორე ნაწილი



ევროკავშირი
საქართველოსთვის



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი



საკრლამენტო კონტროლი მათე მონვევის პარლამენტში

მორე ნანილი

თბილისი
2025

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ნანუკა ყრუაშვილი

კვლევის ხელმძღვანელი: სალომე საღარაძე

ავტორი: გიორგი ალავერდაშვილი

კვლევის ასისტენტი: ნინო მაჭარაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

აიწყო და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

I. კვლევის მეთოდოლოგია	5
1.1. კვლევის მიზნები, საანგარიშო პერიოდი და სუბიექტები	5
1.2. კვლევის ტიპი	5
1.3. კვლევის მეთოდები	5
1.4. გამოყენებული წყაროები	5
II. კვლევის მიზნებები	6
III. 2023-24 წლების პარლამენტის მუშაობის ზოგადი მიმოხილვა	8
IV. საპარლამენტო კონტროლი პლენარულ სხდომაზე	10
4.1. პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება	10
4.2. მინისტრის საათი	11
4.3. ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე მოწვევა	24
4.4. ინტერპელაცია	25
4.5. დროებითი კომისია	34
4.6. დროებითი საგამოძიებო კომისია	34
V. პარლამენტის წევრის კითხვა	36
VI. საკომიტეტო კონტროლის მექანიზმები	37
6.1. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება	37
6.2. კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება	37
6.3. კომიტეტის თემატური მომხსენებელი	39
6.4. თემატური მოკვლევა	42
6.5. სამუშაო ჯგუფის შექმნა, დაკომპლექტება და უფლებამოსილების ვადა	48
6.6. ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესწავლა	51
6.7. უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის სუბიექტები	51
VII. რეკომენდაციები	58
დანართები	60

შემოკლებების და აბრევიატურების ნუსხა

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

ოტს - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო

საია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სდსს - სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სუს - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო

I. კვლევის მეთოდოლოგია

1.1. კვლევის მიზნები, საანგარიშო პერიოდი და სუბიექტები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ X მოწვევის პარლამენტის 2021 წლის სამემოდგომო და 2022 წლის როგორც საგაზაფხულო, ისე სამემოდგომო პერიოდის საპარლამენტო სესიები კვლევის პირველ ნაწილში მიმოიხილა.¹ წინამდებარე კვლევაში მათე მოწვევის პარლამენტის საკონტროლო ფუნქციის შესრულების მონიტორინგის მეორე ნაწილია წარმოდგენილი და 2023 - 2024 წლების საგაზაფხულო და სამემოდგომო სესიების საანგარიშო პერიოდს მოიცავს.

დოკუმენტი დიდწილად შეეხება საპარლამენტო კონტროლის ზოგად მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება როგორც საკომიტეტო, ისე პლენარულ სხდომებზე. გარდა ამისა, ნაშრომში განსაკუთრებულად არის აქცენტირებული სპეციალური მექანიზმებით უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა. შედეგად, ნაშრომში მკითხველი გაცნობა არა მხოლოდ პარლამენტის მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, არამედ აგრეთვე იმ რეკომენდაციებს, რომლებიც კანონმდებლების ყურადღების მიღმა დარჩა. კვლევაში იდენტიფიცირებულია ხარვეზების გადაჭრის გზები.

1.2. კვლევის ტიპი

მკვლევართა ჯგუფმა დოკუმენტზე მუშაობისას გამოიყენა კვლევის დოქტრინული მეთოდი, რომელიც ეყრდნობა კანონმდებლობას, როგორც პირველად წყაროს. ასევე, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ისეთი მეორადი წყაროები, როგორებიცაა სტატიები, წიგნები, რეპორტები, სხვადასხვა ორგანიზაციის კვლევები, საპარლამენტო სხდომების სტენოგრაფიული ჩანაწერები, საკანონმდებლო ორგანოდან მოწოდებული მასალები. პირველადი და მეორადი წყაროების მეშვეობით გაანალიზებულია საპარლამენტო კონტროლის სამართალი საქართველოში და იდენტიფიცირებულია მისი ხარვეზები.

1.3. კვლევის მეთოდები

ნაშრომის შექმნისას გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: ანალიტიკური, დესკრიფციული, ნორმატიული, შედარებით-სამართლებრივი და ისტორიული. მათზე დაყრდნობით, დამუშავდება საპარლამენტო კონტროლის არსებული მექანიზმები, რაც გამოავლენს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. კვლევის მიგნებების საფუძველზე, შესაძლებელი იქნება კანონმდებლობის გაუმჯობესება.

1.4. გამოყენებული წყაროები

ანგარიშის შექმნისას გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

- საქართველოს კანონმდებლობა;
- საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული შესაბამისი საპარლამენტო ანგარიშები, საკომიტეტო და პლენარული სხდომების სტენოგრაფიული ჩანაწერები, საჯაროდ ხელმისაწვდომი სხდომების ოქმები, ვიდეო-აუდიო ჩანაწერები და სხვა;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დოკუმენტები;
- ანალიტიკური მასალა უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების შესახებ.

¹ ალავერდაშვილი, გ. კაპანაძე, ნ. „საპარლამენტო კონტროლი მათე მოწვევის პარლამენტში: პირველი ნაწილი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023.

II. კვლევის მიზნები

ამ თავში გაერთიანებულია კვლევის პროცესში აღმოჩენილი ძირითადი მიგნებები, მათ შორის, გამოვლენილია ხარვეზები და ძირითადი ტენდენციები საპარლამენტო კონტროლის კუთხით.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ 2023 და 2024 წლებში მეათე მოწვევის პარლამენტში საპარლამენტო კონტროლი სხვადასხვა სახის სირთულეებით ხასიათდებოდა, რაც, ნაწილობრივ, გამოწვეული იყო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისებით და პარლამენტის მიერ რეგლამენტით განსაზღვრული მექანიზმების არასრულფასოვნად გამოყენებით. კონტროლის მექანიზმების ფარგლებში ხშირად შეინიშნებოდა პროცედურების დარღვევა, პოლიტიკური მოტივაციით გადავადებები და ანგარიშვალდებული პირების მიერ პასუხისმგებლობისგან თავის არიდება. ამავე დროს, ოპოზიციის ბოიკოტის ფონზე, შეიმჩნეოდა დისკუსიების თემატური სიმცირე და დებატების ნაწილობრივი ფორმალურობა, რაც, ზოგადად, ასუსტებდა კონტროლის პროცესის ეფექტიანობას. შედეგად, საპარლამენტო კონტროლი უმეტესწილად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მასში ნაკლებად იყო გათვალისწინებული საზოგადოების კრიტიკული საჭიროებები.

უფრო კონკრეტულად, კვლევის ძირითადი მიგნებებია:

პრემიერ-მინისტრის მოხსენება

პრემიერ-მინისტრის მოხსენება არ მოიცავდა გასული 1 წლის მიმოხილვას სრულად, რადგან იგი თანამდებობაზე მოხსენების წარდგენამდე რამდენიმე თვით ადრე აირჩიეს.

მინისტრის საათი

მინისტრის საათის პროცედურის ფარგლებში არაერთი პრობლემა გამოიკვეთა. საარჩევნო წელს რეგულარულად დაგეგმილი მოხსენებები ვერ ჩატარდა. მინისტრთა გამოსვლების დროს დეპუტატების უმრავლესობა დარბაზში არ იმყოფებოდა. ოპოზიციის შემთხვევაში, ეს განპირობებული იყო მათი პროტესტით ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გამო, რის შესახებაც კვლევაში ვრცლად იქნება საუბარი. ხშირად მინისტრს გამოყოფილი აქვს გათვალისწინებულზე მეტი დრო, რომელიც ძირითადად სხვა საკითხებზე სასაუბროდ გამოიყენება. მიუხედავად ამისა, მოხსენებების შინაარსი ზოგჯერ ზედმეტად ზოგადია და არ ეხება, კონკრეტულად, გასული წლის საქმიანობას. ამასთანავე, უმრავლესობის დეპუტატები ოპოზიციის კრიტიკას უფრო მეტ დროს უთმობენ, ვიდრე კითხვების დასმას, რაც აცილებს დისკუსიას თემატურ განხილვებს.

თანამდებობის პირის დაბარება პლენარულ და კომიტეტის სხდომაზე

დეპუტატებს მეათე მოწვევის პარლამენტში ანგარიშვალდებული თანამდებობის პირები პლენარულ სხდომაზე არ მოუწვევიათ. კომიტეტის სხდომაზე ამ პირთა დაბარების მექანიზმი კი, ფაქტობრივად, არ გამოიყენებოდა, რაც გამოწვეული იყო რეგლამენტით განსაზღვრული მაღალი კვორუმით და უმრავლესობის პასიურობით. 2023-2024 წლებში არცერთ კომიტეტს არ დაუბარებია პრემიერ-მინისტრი, გენერალური პროკურორი ან სხვა მაღალი თანამდებობის პირი, ხოლო ოპოზიციის ინიციატივები ამ მიმართულებით უმეტესად შედეგის გარეშე დარჩა.

დეჰუტატის წერილობითი კითხვა

ოპოზიციის ავტორობით გაგზავნილ წერილობით შეკითხვებს, ძირითად შემთხვევაში, ადრესატები უპასუხოდ ტოვებდნენ.

ინტერპელაცია

ინტერპელაციის პროცედურისას მომხსენებლებს რეგლამენტით განსაზღვრულზე მეტი დრო ეძლევათ. გარდა ამისა, ერთი ინტერპელაციის ფარგლებში, ხშირად, დასმულია არსებითად განსხვავებული საკითხები, რაც დისკუსიის ეფექტიანობას ამცირებს, ხოლო გამოყოფილი დრო ზოგჯერ არასაკმარისია. ინტერპელაციის სხდომები რამდენჯერმე გადაიდო, ზოგ შემთხვევაში კი, მინისტრები ინტერპელაციაზე სხვა ღონისძიებაზე დასწრების საფუძვლით არ გამოცხადდნენ.

დროებითი საგამოძიებო კომისია

აღსანიშნავია, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიების შექმნას უმრავლესობისგან ხელოვნური დაბრკოლებები სვდება. შედეგად, 2023 და 2024 წლებში არცერთი დროებითი კომისია არ შექმნილა. მეტიც, ასეთი კომისია არ შექმნილა, ზოგადად, მეათე მოწვევის პარლამენტში.

კომიტეტის სამოქმედო გეგმა და თემატური მომხსენებელი

კომიტეტების სამოქმედო გეგმებში თემატური მოხსენების საკითხები კომიტეტის წევრებს შორის თანაბრად განაწილებული არ არის. აღსანიშნავია, რომ, თუ რომელიმე წევრი ტოვებს კომიტეტს ან პარლამენტს, მისი პასუხისმგებლობის ასპექტები უყურადღებოდ რჩება, რადგან სამოქმედო გეგმა არ ახლდება. ხშირად, თემატური მომხსენებლები საერთოდ არ აკეთებენ მოხსენებას მათთვის განსაზღვრულ თემებზე. ზოგ შემთხვევაში კი, თემატური მომხსენებლის ვინაობა სახელით და გვარით არ არის განსაზღვრული.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე კონტროლი

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში საკადრო ცვლილებები მოხდა. კომიტეტის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრმა დაზვერვის სამსახურის უფროსად დანიშნა. ეს კი, ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს, რამდენად ეფექტიანი იქნება მისი სამსახურის ზედამხედველობა ყოფილი თანაგუნდელების მხრიდან, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც საიას საპარლამენტო კონტროლის კვლევებით ამ სფეროს ზედამხედველობის სისუსტე დასტურდება. აღსანიშნავია, რომ კომიტეტს ძალიან ბევრი საკონტროლო მექანიზმი არ გამოუყენებია, არ შექმნილა თემატური მოკვლევის ჯგუფები, სხდომაზე არ მოუწვევია თანამდებობის პირი, არ შექმნილა სამუშაო ჯგუფი და ა.შ. ამ პირობებში, ზედამხედველობის სისუსტეს კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ნდობის ჯგუფის მუშაობა ოპოზიციის კვოტის ათვისების გარეშე.

III. 2023–24 წლების პარლამენტის მუშაობის ზოგადი მიმოხილვა

2023 წლის თებერვალში პარლამენტს წარედგინა ე.წ. რუსული კანონი,² რომლის ინიციატორი პოლიტიკური ჯგუფი „ხალხის ძალა“ იყო.³ მას მოჰყვა მასობრივი საპროტესტო ტალღა.⁴ პროტესტის შედეგად, მმართველმა პარტიამ 9 მარტს მიიღო გადაწყვეტილება მისი განწვევის თაობაზე და კანონპროექტი 10 მარტის პლენარულ სხდომაზე ჩააგდო.⁵ ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მოპოვების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტი ამ თემაზე ევროპულ ლიდერებს შეხვდა.⁶ მმართველმა პარტიამ პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება გადაწყვიტა, რადგან, მათი მოსაზრებით, სალომე ზურაბიშვილმა საგარეო ვიზიტები მთავრობის თანხმობის გარეშე გამართა.⁷ 11 სექტემბერს 80-მა დეპუტატმა დაიწყო იმპიჩმენტი პრეზიდენტის წინააღმდეგ. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა იმავე დღეს დაადასტურა დეპუტატების ხელმოწერების ნამდვილობა,⁸ 12 სექტემბერს კი დეპუტატთა წარდგინება უკვე საკონსტიტუციო სასამართლოში შევიდა.⁹ 16 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი დასკვნით დაადგინა პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა.¹⁰ 3-მა მოსამართლემ ამ საკითხზე განსხვავებული აზრი დააფიქსირა.¹¹ საბოლოოდ, პარლამენტში ვერ მოგროვდა საჭირო 100 ხმა პრეზიდენტის გადასაყენებლად.¹² იმპიჩმენტს ბოიკოტი ოპოზიციამ გამოუცხადა.¹³ ამ პოლიტიკური პროცესების მიუხედავად, ევროკავშირმა წლის ბოლოს საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭა.¹⁴

2024 წლის 25 მარტს „ქართული ოცნების“ ლიდერებმა პარლამენტში ანტი-ლგბტ კონსტიტუციური კანონის წარდგენა დააანონსეს.¹⁵ 4 აპრილს დაინიციირდა საკო-

² „ქართული ოცნება“ რუსული კანონის მიღებას ხელახლა ეცდება“, ტელეკომპანია „ფორმულა“, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/108610>, განახლებულია: 04.12.24.

³ „რით დაგვამახსოვრდება 2023 წელი საქართველოში“, „რადიო თავისუფლება“, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32753738.html>, განახლებულია: 04.12.24.

⁴ „როგორ დავამარცხეთ რუსული კანონი?“ Civil.ge, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/586332>, განახლებულია: 04.12.24.

⁵ „ქართული ოცნება“ რუსული კანონის მიღებას ხელახლა ეცდება“, ტელეკომპანია „ფორმულა“, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/108610>, განახლებულია: 04.12.24.

⁶ „სალომე ზურაბიშვილი ლიეტუვის პრეზიდენტს შეხვდა“, ტელეკომპანია „ფორმულა“, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/98230>, განახლებულია: 04.12.24.

⁷ „ქართული ოცნება“ სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პროცედურას იწყებს“, „რადიო თავისუფლება“, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32573987.html>, განახლებულია: 04.12.24.

⁸ „პრეზიდენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს 80 დეპუტატი მიმართავს“, „რადიო თავისუფლება“, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32587424.html>, განახლებულია: 04.12.24.

⁹ „პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინება შევიდა“, „რადიო თავისუფლება“, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32588972.html>, განახლებულია: 04.12.24.

¹⁰ საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=15923>, განახლებულია: 04.12.24.

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიძევილის, გიორგი კვრენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=15924>, განახლებულია: 04.12.24.

¹² „პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტი ჩავარდა“, „ნეტგაზეტი“, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/692900/>, განახლებულია: 04.12.24.

¹³ იქვე.

¹⁴ „გზა კანდიდატობამდე და რას მოიტანს სტატუსი?“ „რადიო თავისუფლება“, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/mssmun43>, განახლებულია: 04.12.24.

¹⁵ GD Pushes for Anti-LGBT Constitutional Law, Civil.ge, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/588748>, განახლებულია: 04.12.24.

ნსტიტუციო ცვლილებათა პაკეტი,¹⁶ რომლითაც ლგბტ პირებს არაერთი უფლება ეზღუდებათ.¹⁷ ვინაიდან „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში არ ჰქონდა საკონსტიტუციო უმრავლესობა, მან გადაწყვიტა მსგავსი შინაარსის მიმდინარე კანონის მიღება.¹⁸ საბოლოოდ, მოცულობითი საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტმა 17 სექტემბერს დაამტკიცა.¹⁹ ამ პროცესების პარალელურად, „ქართულმა ოცნებამ“ 2024 წლის 3 აპრილს ხელახლა დააინიცირა ე.წ. რუსული კანონი.²⁰ ამას მწვავე შეფასებები მოჰყვა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიდან.²¹ კანონის ხელახლა წარდგენამ მასშტაბური პროტესტი გამოიწვია არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც.²² საბოლოოდ, პარლამენტმა კანონპროექტი 14 მაისს მე-3 მოსმენით მიიღო.²³ ნიშანდობლივია, რომ ოპოზიციამ ამ კანონს მხარი არ დაუჭირა.²⁴ 18 მაისს პრეზიდენტმა კანონს ვეტო დაადო და პარლამენტს დაუბრუნა, თუმცა საკანონმდებლო ორგანომ ის 28 მაისს დაძლია.²⁵

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ პარლამენტის წევრობა დატოვა, რადგან იგი დაზვერვის სამსახურის უფროსად დაინიშნა.²⁶ ხოლო ნდობის ჯგუფი მეათე მოწვევის პარლამენტში არასრული შემადგენლობით იყო დაკომპლექტებული.²⁷

¹⁶ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით „ქართულმა ოცნებამ“ კანონების პაკეტი დაინიცირა, 1tv.ge, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/ojakhur-ghirebulebebisa-da-arasrulwlovanta-dacvis-shesakheb-sakonstitucio-cvilibebtan-dakavshirebit-qartulma-ocnebam-kanonebis-paketi-daainicira/>, განახლებულია: 04.12.24.

¹⁷ ამ კანონის პროექტები ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/365605?>, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/365603>, განახლებულია: 04.12.24.

¹⁸ ოდიკაძე, ნ. „2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში“, აპრილი - ივნისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024, 16.

¹⁹ ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ კანონი და მასთან დაკავშირებული პაკეტი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/28703>, განახლებულია: 04.12.24.

²⁰ „ქართული ოცნება“ რუსული კანონის მიღებას ხელახლა ეცდება“, ტელეკომპანია „ფორმულა“, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/108610>, განახლებულია: 05.12.24.

²¹ „სახდეპი რუსულ კანონზე: ძირს უთხრის საქართველოს ერთგულებას ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი“, ტელეკომპანია „ფორმულა“, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/108794>, განახლებულია: 05.12.24.

²² ოდიკაძე, ნ. „2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში“, აპრილი - ივნისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024, 10.

²³ „პროტესტის ფონზე პარლამენტმა „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო“, Civil.ge, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/606456>, განახლებულია: 05.12.24.

²⁴ კენჭისყრის ანგარიში კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/360506>, კენჭისყრის ანგარიში კანონპროექტის მე-2 მოსმენით მიღების თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/361379>, კენჭისყრის ანგარიში კანონპროექტის მე-3 მოსმენით მიღების თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/361669>, განახლებულია: 05.12.24.

²⁵ ოდიკაძე, ნ. „2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში“, აპრილი - ივნისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024, 15.

²⁶ „საქართველოს დაზვერვის სამსახურს ირაკლი ბერაია უხელმძღვანელებს“, Civil.ge, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/590441>, განახლებულია: 05.12.24.

²⁷ ალავერდაშვილი, გ. ნდობის ჯგუფის ისტორიული და ორგანიზაციული მიმოხილვა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024, 12.

IV. საპარლამენტო კონტროლი პლენარულ სხდომაზე

4.1. პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება

2023 წლის მოხსენება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ პარლამენტს წარუდგინოს მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.²⁸ მთავრობის მეთაური პარლამენტის წინაშე წარდგა 2023 წლის 30 ივნისს.²⁹ მისი გამოსვლა 1 საათი და 35 წუთი გაგრძელდა. მთლიანობაში, გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი პრემიერმა ოპოზიციის კრიტიკას დაუთმო (დაახლოებით, მოხსენების ერთი მესამედი).

მოხსენების შემდგომ შეკითხვა დასვა 48 დეპუტატმა, მათგან 22 წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 26 - ოპოზიციას.

დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხის ნაცვლად, პრემიერი მხოლოდ მცირე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პრემიერის გამოსვლაში, ფაქტობრივად, აქცენტი არ გაკეთებულა მეტ-ნაკლებად პრობლემურ საკითხებზე. ასევე, „ქართული ოცნების“ დეპუტატების აბსოლუტური უმრავლესობა ისეთ შეკითხვებს სვამდა, რომლებიც ან თავის წარმოჩენის საშუალებას მისცემდა პრემიერს, ან ოპოზიციის გაკრიტიკების საფუძველს ქმნიდა.

რეკომენდებულია, პრემიერ-მინისტრმა, ისევე, როგორც დეპუტატებმა, საკუთარი გამოსვლა მიმართონ სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებზე, ხოლო მიმდინარე თემები კონტროლის სხვა მექანიზმის ფარგლებში განიხილონ.

2024 წლის მოხსენება

2024 წლის 8 თებერვალს ირაკლი კობახიძის მთავრობას ნდობა პარლამენტის 84-მა წევრმა გამოუცხადა.³⁰ პრემიერ-მინისტრი კობახიძე პირველი მოხსენებით ამ რანგში პარლამენტის წინაშე 2024 წლის 28 ივნისს წარდგა.³¹

პრემიერმა წერილობითი მოხსენება³² 1-ელ ივნისამდე, 31 მაისს წარადგინა,³³ პარლამენტის წინაშე კი საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეს - ივნისში გამოვიდა. მის გამოსვლას პარლამენტის 81 წევრი ესწრებოდა. მოხსენება 1 საათი და 23 წუთი გაგრძელდა.

ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ ის, მოხსენების ფარგლებში, გასულ 4-5 თვეზე ისა-

²⁸ საქართველოს კონსტიტუცია, 55-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

²⁹ საქართველოს პარლამენტის ოფიციალური იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://youtu.be/SX3GKYLvYW8?si=PasFuR6SIXiyolFo>, <https://www.youtube.com/watch?v=RyZl4Jm5v4g>, <https://www.youtube.com/watch?v=0hCYLNFQM-o>, განახლებულია: 21.10.23.

³⁰ „კობახიძის თქმით, პრემიერის რანგში მისი პირველი ვიზიტი ბრიუსელში შედგება“, „რადიო თავისუფლება“, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32811269.html>, განახლებულია: 13.07.24.

³¹ პრემიერ-მინისტრის მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ - 28.06.2024, საქართველოს პარლამენტის იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=_HbyLTIU8Zk, განახლებულია: 13.07.24.

³² სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენება, ივნისი, 2023 - მაისი, 2024, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/zedamxedveloba/premieri-2024/2023-2024.pdf>, განახლებულია: 13.07.24.

³³ საქართველოს პრემიერ-მინისტრის წერილი საქართველოს პარლამენტს, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/365446>, განახლებულია: 13.07.24.

უბრებდა. ამ შემთხვევაში, მისი მოხსენება შეუხო არასრულ 1 წელს. საიას ამასთან დაკავშირებით არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, **აუცილებელია, რომ პრემიერის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა მისთვის ნდობის გამოცხადების წლისთავს დაემთხვეს.**³⁴

მოხსენების შემდეგ პროცედურა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. კითხვა დასვა პარლამენტის 16-მა წევრმა. აქედან: 6 – „ქართული ოცნება“, 4 – „ხალხის ძალა“, 3 – „ევროპელი სოციალისტები“, 2 – „გირჩი“, 1 – „რეფორმების ჯგუფი“.

პრემიერმა თითქმის ყველა კითხვას უპასუხა. თუმცა, ოპოზიციის წარმომადგენლის შეკითხვებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, რადგან დეპუტატი დარბაზში არ იყო, შეიძლებოდა, მისი კითხვისთვის არც კი უპასუხა. დეპუტატის დარბაზში არყოფნა, ცხადია, გამომსვლელს კითხვებზე პასუხისგან არ ათავისუფლებს.

საბოლოო ჯამში, პრემიერის მიმართ კითხვები, ძირითადად, თემატური იყო, თუმცა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, ოპოზიციის დიდი ნაწილი გამოსვლას არ ესწრებოდა, შესაბამისად, მას დააკლდა კრიტიკული კითხვები.³⁵

მნიშვნელოვანია, რომ გამომსვლელმა ყველა კითხვას უპასუხოს, მიუხედავად იმისა, კითხვა-პასუხის ეტაპზე იმყოფება თუ არა მისი ავტორი სხდომათა დარბაზში. ამასთანავე, ოპოზიციამ უნდა გამოიყენოს ეს პლატფორმა, რათა უზრუნველყოს მთავრობის მეთაურის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე.

4.2. მინისტრის საათი

2023 წელს თორმეტივე მინისტრს მოუსმინეს: საგაზაფხულო სესიაზე წარდგა 5 მათგანი, ხოლო საშემოდგომოზე - 8. 2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე პარლამენტის წინაშე მოხსენებით გამოვიდა 6 მინისტრი. ამავე სესიაზე საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა თარიღის კორექტირება,³⁶ რაც ბიურომ დააკმაყოფილა.³⁷ მიუხედავად ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრი არც შეცვლილ დროს გამოცხადდა პარლამენტის წინაშე. საშემოდგომო სესიაზე გადაიტანეს აგრეთვე თავდაცვის მინისტრის საათიც.³⁸ თარიღის შეცვლის საფუძველი არც ამ შემთხვევაში განუმარტავთ,³⁹ თუმცა ბიურომ ეს თხოვნაც დააკმაყოფილა.⁴⁰ საშემოდგომო სესიაზე თარიღის კორექტირება ითხოვა იუსტიციის მინისტრმაც.⁴¹ პარლამენტის ბიუროს ამ საკითხზე არ უმსჯელია. ამასთანავე, პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის ან მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების წელს, არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში, როგორც წესი, პარლამენტის პლენარული სხდომები არ იმართება.⁴² შესაბამისად, ოქტომბერში სასესიო ფორმატში პარლამენტი არ შეკრებილა, სექტემბერში კი

³⁴ ალავერდაშვილი, გ. კაპანაძე, ნ. „საპარლამენტო კონტროლი მეთაურის მოწვევის პარლამენტში: პირველი ნაწილი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023, 19.

³⁵ საუბარია ე.წ. რუსული კანონის მიღების ფონზე გამართულ აქციებზე. უფრო ვრცლად ამის თაობაზე იხილეთ წინამდებარე კვლევის III თავი.

³⁶ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი №GOV2240006004 საქართველოს პარლამენტს, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/357027>, განახლებულია: 10.12.24.

³⁷ საქართველოს პარლამენტის ბიუროს №326/22 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/357334>, განახლებულია: 10.12.24.

³⁸ საქართველოს პარლამენტის ბიუროს №361/17 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/364104>, განახლებულია: 10.12.24.

³⁹ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი №GOV12400016174 საქართველოს პარლამენტს, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/363993>, განახლებულია: 10.12.24.

⁴⁰ საქართველოს პარლამენტის ბიუროს №361/17 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/364104>, განახლებულია: 10.12.24.

⁴¹ იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 2 სექტემბრის წერილი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/368102>, განახლებულია: 10.12.24.

⁴² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 88-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

პარლამენტის წინაშე არცერთი მინისტრი არ წარდგა.⁴³ აქედან გამომდინარე, მე-10 მოწვევის პარლამენტს მთავრობის წევრთა ნაწილის 2024 წლის მოხსენებები არ მოუსმენია. ეს კი საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან ჯეროვანი კონტროლის განხორციელების საშუალებას არ იძლევა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოში საპარლამენტო მოდელია დამკვიდრებული. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ე.წ. პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა ე.წ. მთავრობას.⁴⁴ აქედან გამომდინარე, წინა მოწვევის ფარგლებში სამთავრობო მუშაობაზე სრულყოფილი კონტროლი ვერ განხორციელდა. ეს ცუდი პრაქტიკაა. **აუცილებელია, საარჩევნო წელს ისე დაიგეგმოს საკონტროლო მექანიზმების აღსრულება, რომ არჩევნებამდე ყველა ანგარიშვალდებული მინისტრის საქმიანობის შეფასება იყოს შესაძლებელი.**

2023 წლის საგაზაფხულო სესია

შინაგან საქმეთა მინისტრის საათი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური პარლამენტის წინაშე 2023 წლის 21 თებერვალს წარდგა.⁴⁵ მინისტრის საათის პროცედურაზე დამსწრე პარლამენტართა ზუსტი ოდენობა უცნობია. დღის დასაწყისში რეგისტრაცია გაიარა 90-მა დეპუტატმა. სხდომას ბოიკოტის მიზეზით არ ესწრებოდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები.

მინისტრის გამოსვლა 35 წუთს გაგრძელდა. მოხსენების დასაწყისში მინისტრმა ყურადღება გაამახვილა მთავრობის ძალისხმევით ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მნიშვნელობაზე. გარდა ამისა, გასული წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის კონტექსტში მან ახსენა „სამთავრობო გეგმა“, რომელშიც, დიდი ალბათობით, სამთავრობო პროგრამას გულისხმობდა.⁴⁶ მინისტრმა წარმოადგინა დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები. ასევე, შეეხო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისა და თანამშრომელთათვის ხელფასების ზრდის საკითხებს. გომელაურმა აგრეთვე ისაუბრა, კრიმინალური პოლიციის რეფორმაზე, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაზე, მათ შორის, აღინიშნა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობით ნარკორეალიზატორთა დაკავება. გამომსვლელი შეეხო მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვას თბილისის შემდეგ რუსთავში, საზღვრის კონტროლსა და სხვა საკითხებს. მინისტრის მოხსენება, მნიშვნელოვანწილად, ეხმიანებოდა სამთავრობო პროგრამაში წარმოდგენილ პრიორიტეტებს.⁴⁷

შეკითხვა დასვა 16-მა დეპუტატმა. აქედან 5 მათგანო წარმოადგინა უმრავლესობას, ხოლო 11 - ოპოზიციას. მთლიანობაში, შეკითხვების აბსოლუტური უმრავლესობა იყო თემატური. პროცედურა დიდწილად შეესაბამებოდა მინისტრის საათის პროცედურით გათვალისწინებულ შინაარსს.

⁴³ მინისტრის საათის ფარგლებში, მინისტრების თანმიმდევრობა პარლამენტში, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/minister-hours>, განახლებულია: 10.12.24.

⁴⁴ საქართველოს პარლამენტმა მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/sakartvelos-parlamentma-mtavrobis-akhal-shemadgenlobas-ndobagamoutskhada>, განახლებულია: 10.12.24.

⁴⁵ საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/1038745340416868>,

<https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/3467690666889033>, განახლებულია: 22.10.23.

⁴⁶ მინისტრის გამოსვლიდან გამომდინარე, შევიძლია, ვივარაუდოთ, რომ საანგარიშო პერიოდად 2022 (კალენდარული) წელი მოიაზრებოდა.

⁴⁷ სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf, განახლებულია: 22.10.23.

ფინანსთა მინისტრის საათი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი პარლამენტის წინაშე 2023 წლის 23 მარტს წარდგა.⁴⁸ რეგისტრაცია გაიარა 90-მა დეპუტატმა. მინისტრის გამოსვლა დაახლოებით 45 წუთი გაგრძელდა. მან საუბარი დაიწყო 2022 წლის ფინანსურ პარამეტრებზე და წარმოადგინა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. ასევე, ისაუბრა ინფლაციაზე, იმპორტისა და ექსპორტის მაჩვენებლებზე. აგრეთვე, შეეხო პოსტ-პანდემიურ პერიოდში სახელმწიფო ვალთან დაკავშირებულ მონაცემებს, სახელმწიფო საწარმოების რეფორმას, ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში გადადგმულ ნაბიჯებს, სათამაშო ბიზნესის რეგულირებას, რუსეთის მიმართ დაწესებული საერთაშორისო სანქციების აღსრულების პროცესს და სხვა საკითხებს.

მოხსენების შემდგომ შეკითხვა დასვა 8 დეპუტატმა. აქედან 3 წარმოადგენდა მმართველ პარტიას, ხოლო 5 - ოპოზიციას. მთლიანობაში, დეპუტატების მიერ დასმული შეკითხვები, ისევე, როგორც მინისტრის პასუხები, იყო თემატური. პროცედურის დროს არსებითი ხარვეზი არ გამოვლენილა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის საათი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია პარლამენტის წინაშე 2023 წლის 20 აპრილს წარდგა.⁴⁹ რეგისტრაცია გაიარა 125-მა დეპუტატმა. თუმცა, უშუალოდ პროცედურის განმავლობაში დეპუტატების რიცხვი შემცირდა, მინისტრის საპასუხო გამოსვლის დროს კი მათმა რიცხვმა კიდევ უფრო დაიკლო. მინისტრის გამოსვლა 40 წუთი გაგრძელდა. **აუცილებელია, დეპუტატებმა აქტიურად გამოიყენონ კონტროლის ეს მექანიზმი.**

მინისტრმა ისაუბრა ქართული აგროსასურსათო პროდუქტის ექსპორტის ზრდის ტენდენციაზე, სახელმწიფოს მხრიდან დახმარების პროგრამების ფუნქციონირებასა და თანადაფინანსების საკითხზე. იგი ასევე შეეხო ევროკავშირის ბაზრის პრიორიტეტულობას, ქვეყანაში თანამედროვე ხეხილის ბაღების ფართობების ზრდას, სათესლე და სანერგე მეურნეობების რეესტრის შექმნას. მისი თქმით, სამინისტროსთვის ერთ-ერთი უმთავრესი დოკუმენტია პრემიერის ინიციატივით შემუშავებული „ხედვა 2030“ - საქართველოს განვითარების სტრატეგია.⁵⁰ მთლიანობაში, მინისტრის გამოსვლა ფარავდა სამთავრობო პროგრამით განსაზღვრულ პრიორიტეტებს.

გამოსვლის შემდგომ შეკითხვა დასვა 30-მა დეპუტატმა. აქედან 14 მათგანი წარმოადგენდა მმართველ პარტიას, ხოლო 16 - ოპოზიციას. პროცედურის განმავლობაში არ დასმულა არცერთი არათემატური შეკითხვა. პროცესი საქმიან გარემოში წარიმართა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის საათი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ აზარაშვილი პარლამენტის წინაშე 2023 წლის 18 მაისს წარდგა.⁵¹ მინისტრის საათის პროცედურის დაწყებამდე

⁴⁸ საქართველოს პარლამენტის ოფიციალური იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=mJAADNW8678>, განახლებულია: 22.10.23.

⁴⁹ საქართველოს პარლამენტის ოფიციალური იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=LhVtBsV0tIU>, <https://www.youtube.com/watch?v=Kt65IdXkCRI>, განახლებულია: 22.10.23.

⁵⁰ ეს სამთავრობო პროგრამის მსგავსი დოკუმენტია, თუმცა უფრო ვრცელია და 10 წელზეა გათვლილი.

⁵¹ საქართველოს პარლამენტის ოფიციალური იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=3zqk1BqDsw&t=1s>, <https://www.youtube.com/watch?v=hPbYDYmZYHY&t=45s>, განახლებულია: 28.10.23.

დაახლოებით 15 წუთით ადრე (კენჭისყრამდე) რეგისტრაცია გაიარა 125-მა დეპუტატმა. უშუალოდ სხდომას ნაკლები ესწრებოდა, შეკითხვების დროს - კიდევ უფრო ნაკლები.

მინისტრის გამოსვლა 58 წუთი გაგრძელდა. მოხსენება დაიწყო იმ რეფორმების ჩამოთვლით, რომლებიც სამინისტრომ 2022 წელს წამოიწყო. მინისტრმა ისაუბრა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებასა და შედეგებზე, სააფთიაქო ნარკომანიასთან ბრძოლის საკითხზე, საპენსიო გასაცემლებზე, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების რეგულირებაზე, დევნილი ოჯახებისთვის ბინების გადაცემაზე და ა.შ.

მოხსენების შემდგომ სიტყვით გამოვიდნენ დეპუტატები. კითხვა დასვა 26-მა მათგანმა. აქედან 11 წარმოადგენდა მმართველ პარტიას, ხოლო 15 - ოპოზიციას. პროცედურა საქმიან გარემოში წარიმართა.

საგარეო საქმეთა მინისტრის საათი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი პარლამენტის წინაშე წარდგა 2023 წლის 16 ივნისს.⁵² მინისტრის საათის პროცედურის დაწყებამდე დაახლოებით 15 წუთით ადრე რეგისტრაცია გაიარა 121-მა დეპუტატმა. მინისტრის გამოსვლა დაახლოებით 38 წუთი გაგრძელდა. მან ყურადღება გაამახვილა ევროინტეგრაციის პროცესზე. ასევე, შეეხო მაღალი დონის საერთაშორისო ვიზიტებს. მინისტრმა ისაუბრა საერთაშორისო პროექტებზე, რომლებშიც საქართველო წარმოდგენილია სატრანზიტო ან სხვა ფუნქციით, ასევე, სხვადასხვა ქვეყანასთან გაფორმებული სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმებებზე.

მინისტრის მოხსენების დასრულების შემდგომ შეკითხვის დასმის უფლებით ისარგებლა 36-მა დეპუტატმა, რომელთაგან 16 წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 20 - ოპოზიციას. აღსანიშნავია, რომ მმართველი პარტიის დეპუტატები ხშირად საკუთარ მანდატს იყენებდნენ არა შეკითხვის დასასმელად, არამედ ოპონენტების გასაკრიტიკებლად. მინისტრმა შეკითხვებს მაქსიმალურად მოკლედ და ზედაპირულად უპასუხა.

მინისტრის საათის პროცედურის მიზანია სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიშის მოსმენა. ამიტომ, მინისტრი ვალდებულია, არა ზედაპირულად, არამედ სიღრმისეულად, მაქსიმალური დეტალიზებით მოახსენოს პარლამენტს ინფორმაცია იმ თემებზე, რომლებზეც მას ამ ფორმატის ფარგლებში კითხვებს დაუსვამენ.

2023 წლის საშემოდგომო სესია

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის საათი

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი პარლამენტის წინაშე წარდგა 2023 წლის 20 სექტემბერს.⁵³

მინისტრის გამოსვლა 2 საათი და 52 წუთი გაგრძელდა. აქედან მოხსენებას დაეთმო

⁵² საქართველოს პარლამენტის ოფიციალური იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია:

<https://www.youtube.com/watch?v=sWlp8JxGDh0&t=4s>,

<https://www.youtube.com/watch?v=PUE2NS1K7zc>, განახლებულია: 28.10.23.

⁵³ პარლამენტის პლენარული სხდომა - 20.09.2023, პარლამენტის ფეისბუქ-გვერდი, ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/136370340451583>,

<https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/876693173797667>, განახლებულია: 12.03.24.

2 საათი და 22 წუთი, 6 წუთის განმავლობაში ტექნიკური შესვენება გამოცხადდა.⁵⁴ დამატებითი 30 წუთი კი მინისტრმა მიმდინარე მოვლენებზე სასაუბროდ ითხოვა. რეგისტრაცია 86-მა დეპუტატმა გაიარა. სხდომაზე მინისტრის მოხსენება ზუსტად მისდევდა მის მიერ წინასწარ წარდგენილ წერილობით ანგარიშს.

მინისტრის მოხსენება შინაარსობრივად დიდწილად შეესაბამებოდა სამთავრობო პროგრამას,⁵⁵ თუმცა კრიტიკითა და სიძულვილის ენით ხასიათდებოდა. ასევე, მინისტრმა მოხსენებისას ყურადღება გაამახვილა რამდენიმე გამოწვევაზეც (კორუფცია სპორტის დარგში, ნეპოტიზმი და პროფესიონალი კადრების ნაკლებობა კულტურის დარგში). საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების გარდა, გამომსვლელი მიმდინარე მოვლენებსაც შეეხო, რაც სცდება მინისტრის საათის ფორმატს. ასეთი პრაქტიკა მიუღებელია და ამ პროცედურას არ შეესაბამება. **ამიტომ, რეკომენდებულია, ამ ფორმატში მინისტრს არ გამოეყოს დამატებითი დრო სხვა მიმდინარე საკითხებზე სასაუბროდ.**

მოხსენების შემდგომ კითხვით სულ 16 დეპუტატი გამოვიდა (12 - „ქართული ოცნება“, 2 - „ევროპელი სოციალისტები“, 1 - „ხალხის ძალა“, 1 - დამოუკიდებელი დეპუტატი).

ოპოზიცია პროტესტის ნიშნად არ ესწრებოდა მინისტრის საათს, შესაბამისად, კითხვებს უმეტესად უმრავლესობის წარმომადგენლები სვამდნენ. ეს პროცესი, ძირითადად, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. დეპუტატები სიტყვას ითხოვდნენ მინისტრისთვის მადლობის გადასახდელად და ქალი ოპოზიციონერების (და არა მარტო) ქმედების გასაკრიტიკებლად. კრიტიკული შეკითხვები თითქმის არ დასმულა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის საათი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი პარლამენტის წინაშე წარდგა 2023 წლის 4 ოქტომბერს.⁵⁶ პლენარულ სხდომაზე რეგისტრაცია გაიარა 109 დეპუტატმა. მინისტრის გამოსვლა 59 წუთი გაგრძელდა.

მინისტრმა გამოსვლის დასაწყისში თქვა, რომ დეპუტატებს გააცნობდა მიღწევებს, ამოცანებსა და გამოწვევებს, თუმცა ამ უკანასკნელზე ფაქტობრივად არაფერი უთქვამს.

ლევან დავითაშვილმა საუბარი დაიწყო ეკონომიკური მაჩვენებლების მიმოხილვით, მან ისაუბრა 2023 წლის განმავლობაში ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობების ზრდაზე, ექსპორტის, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეკორდულ მაჩვენებლებზე, უმუშევრობის დონის შემცირებაზე და სხვა.

მინისტრმა ასევე ყურადღება გაამახვილა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ საერთო და, კონკრეტულად, 2023 წლის შედეგებზე. ის შეეხო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები, თავისუფალი ვაჭრობა, ინვესტიციების ხელშეწყობა, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი

⁵⁴ ტექნიკური შესვენება გამოიწვია ტრიბუნასთან ქალი ოპოზიციონერი დეპუტატების მისვლამ (სალომე სამადაშვილი, თინა ბოკუჩავა, ხათუნა სამნიძე და თამარ კორძაია) და პლაკატის გამლამ წარწერით „ქართული ოცნების“ Российский военный корабль иди на хуй!“. კადრი 1:02:47, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/1363703404551583>, განახლებულია: 12.03.24.

⁵⁵ სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf, განახლებულია: 12.03.24.

⁵⁶ პარლამენტის პლენარული სხდომა - მინისტრის საათი - 04.10.2023, პარლამენტის ფეისბუქ-გვერდი, ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/1756203008161724>,

<https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/840693340830585>, განახლებულია: 12.03.24.

ვაჭრობის შეთანხმება, ხარისხიანი ინფრასტრუქტურა, ტურიზმი და ავიაცია, ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, ინტერნეტიზაცია, ინოვაციები და ტექნოლოგიები, საქართველოს სივრცითი დაგეგმარების გეგმა, წიაღი, ქონება, კაპიტალის ბაზრის და სადაზღვევო სექტორის განვითარება, სამომხმარებლო პროდუქტებზე ზედამხედველობა და სხვა.

სიტყვით გამოსვლის პროცედურის დასრულების შემდეგ კითხვა 41-მა დეპუტატმა დასვა (23 – „ქართული ოცნება“, 4 – „ენმ“, 3 – „ხალხის ძალა“, 2 – „საქართველოსთვის“, 2 – „რეფორმების ჯგუფი“, 2 – „თავისუფლება“, 1 – „ლელო“, 1 – „ევროპელი სოციალისტები“, 1 – „ევროოპტიმისტი“, 2 – დამოუკიდებელი).

მინისტრის მოხსენება, ძირითადად, პასუხობდა სამთავრობო პროგრამას.⁵⁷ შეკითხვების უმრავლესობა იყო თემატური და გამოსვლა, მნიშვნელოვანწილად, შეესაბამებოდა მინისტრის საათის პროცედურით გათვალისწინებულ შინაარსს.

როგორც გამოსვლებიდან გამომჩნდა, მინისტრის პასუხები ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის არ იყო ამომწურავი. მთავარი კითხვა იყო: ვისზე აისახება ეკონომიკური წინსვლა. მინისტრის გამოსვლას უპირისპირებდნენ უარყოფით შედეგებს (მიგრაციის, დემოგრაფიის, უმუშევრობის, რუსეთზე დამოკიდებულების ნაწილში).

ასევე, მინისტრმა თავი აარიდა სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის დავალიანების ასანაზღაურებლად თანხების ბიუჯეტიდან გამოყოფაზე საუბარს, განმეორებითი კითხვისას კი, შეკითხვის ავტორი განათლების სამინისტროსთან „გადაამისამართა“.

თავდაცვის მინისტრის საათი

თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე პარლამენტის წინაშე წარდგა 2023 წლის 17 ოქტომბერს.⁵⁸ სხდომის დასაწყისში რეგისტრაცია გაიარა 116-მა დეპუტატმა. მინისტრის გამოსვლა 48 წუთი გაგრძელდა. მინისტრმა ისაუბრა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საქართველოს ჯარის გაძლიერება ჰაერსაწინააღმდეგო, ჯავშანსაწინააღმდეგო, არტილერიის, სადაზვერვო შესაძლებლობების გაზრდის კუთხით, ასევე, საინჟინრო შესაძლებლობების გაძლიერება, ავიაციის აღდგენა-მოდერნიზება, თავდაცვის ძალების აღჭურვა და ნატოს სტანდარტების ტექნიკით გადაიარაღების კუთხით გადადგმული ნაბიჯები.

მინისტრი შეეხო ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის მოდერნიზების საკითხს. ასევე, ისაუბრა ინსტიტუციურ განვითარებასა და ახალი თავდაცვის კოდექსის როლზე ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობაში. წვევამდებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2025 წლიდან მათ ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლის შესაძლებლობა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ექნებათ.

მინისტრი ასევე შეეხო თანამშრომლობის საკითხებს. ისაუბრა როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ევროკავშირი და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია), ისე აშშ-სთან, ევროპულ ქვეყნებსა და მეზობლებთან არსებულ ერთობლივ პროექტებზე. ასევე ისაუბრა ჯარისკაცებსა და მათ ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკაზე (ხელფასების ზრდა, ბინების გადაცემა და სხვა). საერთო ჯამში, მინისტრის მიერ განხილული საკითხები შეესაბამებოდა სამთავრობო პროგრამას.⁵⁹

⁵⁷ სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf, განახლებულია: 12.03.24.

⁵⁸ მინისტრის საათი - თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე - 17.10.2023, პარლამენტის ფეისბუქ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/852089999961468>, განახლებულია: 12.03.24.

⁵⁹ სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf, განახლებულია: 12.03.24.

შენიშვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მინისტრის მოხსენება, ზოგადად, ბოლო წლებში არსებულ სიტუაციას ეხებოდა და არა - კონკრეტულად, 2023 წელს. ის იყო ძალიან ზოგადი და ჰქონდა უფრო მეტად ინფორმაციული ხასიათი, ვიდრე ანგარიშის ან მოხსენების ფორმა. მინისტრი, ძირითადად, იყენებდა ტერმინს „გასულ წლებში“. გამოსვლაში ნაკლებად იყო საუბარი კონკრეტული ღონისძიებების დეტალებზე. შესაბამისად, ჯუანშერ ბურჭულაძის გამოსვლა, ამ მხრივ, არ შეესაბამებოდა მინისტრის საათის ფორმატივს რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს. **რეკომენდებულია, მინისტრებმა დაიცვან რეგლამენტი და ამ პროცედურის ფარგლებში ისაუბრონ სამთავრობო პროგრამის შესრულებაზე ბოლო 1 წლის განმავლობაში.**

მოხსენების შემდგომ კითხვა დასვა 14-მა დეპუტატმა (2 – „ქართული ოცნება“, 4 – „ენმ“, 2- „გირჩი“, 1 – „რეფორმების ჯგუფი“, 1 – „მოქალაქეები“, 1 – „ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოსთვის“, 1 – „ევროპელი სოციალისტები“, 1 – „ევრო-ოპტიმისტები“, 1 – დამოუკიდებელი დეპუტატი).

კითხვების უმეტესობა იყო თემატური. თუმცა, გამოსვლებით ჩანდა, რომ დეპუტატებისთვის არ იყო ამომწურავი მინისტრის პასუხები. ეს უკანასკნელი თითქმის არ საუბრობდა გამოწვევებზე. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომელიც კითხვების დასმისა და გამოსვლების დროს გამოიკვეთა, უკავშირდებოდა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის სიმცირეს. საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები ძირითადად შემოიფარგლებოდნენ ოპოზიციისა და წინა ხელისუფლების კრიტიკით.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის საათი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე პარლამენტის წინაშე წარსდგა 2023 წლის 2 ნოემბერს.⁶⁰ სხდომის დასაწყისში რეგისტრაცია გაიარა 97-მა დეპუტატმა. მინისტრის გამოსვლა 1 საათი და 10 წუთი გაგრძელდა.

მინისტრის მოხსენება იმაზე დეტალური იყო, ვიდრე მისი წერილობით ანგარიში. ირაკლი ქარსელაძე შეეხო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მაგისტრალური გზების მშენებლობა და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (დეტალურად ისაუბრა კონკრეტულ მონაკვეთებზე), წყალმომარაგებისა და წყალგადინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება, სპორტული ინფრასტრუქტურა, პროგრამა „განახლებული რეგიონები“, არასახიფათო ნარჩენების მართვა, დეცენტრალიზაცია და სხვა.

მინისტრმა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დაასახელა არაკეთილსინდისიერი კონტრაქტორების არსებობა, რაც ხელშეკრულებების შეწყვეტისა და პროექტების დასრულების გადავადების, ზოგჯერ კი ხარჯების გაზრდის მიზეზიც ხდება.

კითხვა დასვა 37-მა დეპუტატმა (15 - „ქართული ოცნება“, 5 - „რეფორმების ჯგუფი“, 4 - „ენმ“, 4 - „საქართველოსთვის“, 2 - „ევროპელი სოციალისტები“, 1 - „ევროპელი სოციალისტები“, 2 - „ხალხის ძალა“, 2 - „თავისუფლება“, 1 - „გირჩი“, 1 - დამოუკიდებელი დეპუტატი).

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მინისტრის გამოსვლა შეესაბამებოდა სამთავრობო პროგრამას,⁶¹ შეკითხვების უმრავლესობა კი იყო თემატური.

⁶⁰ პარლამენტის პლენარული სხდომა - 02.11.2023, პარლამენტის ფეისბუქ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/1413098569553401>, <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/300442299550653>, განახლებულია: 12.03.24.

⁶¹ სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf, განახლებულია: 12.03.24.

ოუსტიციის მინისტრის საათი

ოუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე პარლამენტის წინაშე წარდგა 2023 წლის 17 ნოემბერს.⁶² გამოსვლას უსწრებოდა 108 დეპუტატი. მოხსენება 46 წუთი გაგრძელდა. მინისტრის საათის ფარგლებში რატი ბრეგაძემ ყურადღება გაამახვილა 2023 წლის განმავლობაში სერვისების განვითარების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებსა და 2024 წელს დასასრულებელ პროექტებზე. ასევე, პარლამენტის დეპუტატებს გაუზიარა პროექტის „მიწის სისტემური რეგისტრაცია“ შედეგები და ისაუბრა პროექტზე „სისტემური დამისამართება 2022-2024“.

მინისტრი ასევე შეეხო სანოტარო მომსახურებისა და საარქივო საქმიანობის საკითხებს, ციფრული მმართველობის განვითარებას, სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივებს, საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფოთა ინტერესების დაცვას, სამართლებრივი დავების პრევენციას, სამინისტროს სისტემის თანამშრომლების სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და ა.შ.

გამოსვლის დასრულების შემდგომ კითხვების რეჟიმში სულ 26-მა დეპუტატმა იაქტიურა (8 - „ქართული ოცნება“, 2 - „რეფორმების ჯგუფი“, 4 - „ენმ“, 1 - „საქართველოსთვის“, 2 - „ევროპტიმისტები“, 1 - „ევროპელი სოციალისტები“, 2 - „ხალხის ძალა“, 2 - „თავისუფლება“, 2 - „გირჩი“, 1 - დამოუკიდებელი დეპუტატი, 1 - „ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოსთვის“).

მინისტრის საათის ფორმატში რატი ბრეგაძის გამოსვლა, ძირითადად, ფარავდა სამთავრობო პროგრამით⁶³ გაწერილ გეგმებს და იყო თემატური. ასეთივე იყო კითხვების დიდი ნაწილიც. თუმცა, პრეზიდენტ სააკაშვილთან დაკავშირებულ კითხვებზე მინისტრის პასუხმა შელახარაკება და ღარბაში მცირე დაპირისპირება გამოიწვია.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საათი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ამილახვარი პარლამენტის წინაშე წარდგა 2023 წლის 28 ნოემბერს.⁶⁴ სხდომაზე დამსწრე დეპუტატთა ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა დღის დასაწყისში რეგისტრაცია 100-მა დეპუტატმა გაიარა. მინისტრის გამოსვლა 54 წუთი გაგრძელდა. გამოსვლის დაწყებისას მან აღნიშნა, რომ ის 2023 წლის მარტში დაინიშნა, თუმცა მთელი 2023 წლის ანგარიშს წარადგენდა.

მინისტრმა გამოსვლისას რამდენიმე საკითხზე ისაუბრა. ის შეეხო სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებსა და სამომავლო გეგმებს. შედარებით მწირი იყო მისი მოხსენება მეცნიერების მიმართულებით. მინისტრმა გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მხრივ სახელმწიფოს ბევრი გამოწვევა ჰქონდა. სკოლამდელ განათლებაზე საუბრისას მინისტრმა ყურადღება გაამახვილა დივერსიფიცირებული სკოლამდელი განათლების კონცეფციასა და ყველა ბაღში ორენოვანი განათლების ინტეგრირებაზე.

მინისტრის მოხსენება შინაარსობრივად სრულად შეესაბამებოდა სამთავრობო პროგრამას და იყო საკმაოდ დეტალური.

კითხვა დასვა 28 დეპუტატმა (9 - „ქართული ოცნება“, 3 - „ენმ“, 3 - „რეფორმების

⁶² პარლამენტის პლენარული სხდომა - 17.11.2023, პარლამენტის ფეისბუქ-გვერდი, ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/287127400973914>,

<https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/337132245585252>, განახლებულია: 12.03.24.

⁶³ სამთავრობო პროგრამა 2021 - 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, ხელმისაწვდომია:

https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf, განახლებულია: 12.03.24.

⁶⁴ საქართველოს პარლამენტის ოფიციალური იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=s9dJI2y4Wfc>, <https://www.youtube.com/watch?v=cOwSecJHiWM>, განახლებულია: 05.03.24.

ჯგუფი“, 2 – „საქართველოსთვის“, 1 – „ევროპელი სოციალისტები“, 2 – „მოქალაქეები“, 2 – „ხალხის ძალა“, 2 – „თავისუფლება“, 2 – „გირჩი“, 1 – „ევროოპტიმისტი“, 1 – დამოუკიდებელი დეპუტატი). მინისტრმა გამოსვლის დროს ყველა კითხვას გასცა პასუხი.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მთელი პროცედურა - როგორც მინისტრის მოხსენება, ისე შეკითხვები - იყო თემატური.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი პარლამენტის წინაშე 2023 წლის 12 დეკემბერს წარდგა.⁶⁵ მოხსენება 40 წუთი გაგრძელდა. სხდომაზე დამსწრე დეპუტატების ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა დღის დასაწყისში რეგისტრაცია გაიარა 103-მა დეპუტატმა.

სახელმწიფო მინისტრმა გამოსვლისას აღნიშნა, რომ მისი საქმიანობა ორ მიმართულებას მოიცავდა - შერიგებას და სამოქალაქო თანასწორობას. შესაბამისად, მისი მოხსენებაც ამ საკითხებს შეეხებოდა.

მინისტრმა მოხსენება დაიწყო შერიგებასთან დაკავშირებულ იმ პრობლემებზე, რომლებიც თავად ოკუპირებულ რეგიონებში არსებობს. ის ასევე შეეხო უკანონო დაკავებებისა და დაპატიმრების საკითხს. დასახელდა ძირითადი გამოწვევები სამშვიდობო პროცესის წინააღმდეგ. მინისტრმა ისაუბრა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის სტრატეგიასა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაზე.

კითხვის დასმის შესაძლებლობა გამოიყენა 14-მა დეპუტატმა (5 – „ქართული ოცნება“, 2 – „რეფორმების ჯგუფი“, 2 – „თავისუფლება“, 1 – „ენმ“, 1 – „გირჩი“, 1 – „ევროპელი სოციალისტები“, 1 – „ევროოპტიმისტი“, 1 – დამოუკიდებელი დეპუტატი).

კითხვებზე პასუხისას სახელმწიფო მინისტრი კრიტიკული იყო ოპოზიციის მიმართ. გარდა ამისა, მან ბევრი კითხვა უპასუხოდ დატოვა.

აღსანიშნავია, რომ სამთავრობო პროგრამაში⁶⁶ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის შესახებ საკმაოდ ზოგადი ჩანაწერები არსებობს, რაც ართულებს მინისტრის მოხსენების შედარებას პროგრამით გათვალისწინებულ პოლიტიკასთან და მის მიერ ჩამოთვლილი საქმიანობების შეფასებას. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ახვლედიანის გამოსვლა იყო საქმიანი. რაც შეეხება შეკითხვების კომპონენტს, უმრავლესობის დეპუტატები ხშირად მხოლოდ ოპოზიციის კრიტიკისა და ხელისუფლების ქებისთვის იყენებდნენ კითხვის დასმის პროცედურას. იგივე ტენდენციები შეინიშნებოდა გამოსვლების დროსაც. **ზედამხედველობის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ დეპუტატები თემატურ კითხვებზე კონცენტრირდნენ.**

⁶⁵ პარლამენტის პლენარული სხდომა პარლამენტის პლენარული სხდომა (ნაწილი II) - 12.12.2023, <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/1393962978144187>, პარლამენტის პლენარული სხდომა (ნაწილი III) - 12.12.2023, <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/244497391816772>, განახლებულია: 12.03.24.

⁶⁶ სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf, განახლებულია: 12.03.24.

2024 წლის საგაზაფხულო სესია

შინაგან საქმეთა მინისტრის საათი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური პარლამენტის წინაშე წარდგა 2024 წლის 20 მარტს.⁶⁷ პროცედურას პარლამენტის 114 წევრი ესწრებოდა. მინისტრის მოხსენება 36 წუთი გაგრძელდა. გამომსვლელმა მიმოიხილა 2023 წლის განმავლობაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის ეფექტიანად განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები. ასევე, შეეხო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: კრიმინალური პოლიციის რეფორმა, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის განვითარება, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება (ახალი სამმართველოების განხილვა), საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა, საერთაშორისო ვიზიტები. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ორგანიზებულ და ნარკოტიკულ დანაშაულებზე. მან ასევე ისაუბრა საზღვრის ინტეგრირებული მართვის კუთხით არსებულ სიანხლებზე, სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის გაუმჯობესებისა და სასაზღვრო ავიაციის გაძლიერების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე.

მინისტრი აგრეთვე შეეხო მომსახურების სერვისების განვითარების საკითხს, შინაგან საქმეთა სამინისტროს (ან მთავრობის) ინიციატივით განსახორციელებელ საკანონმდებლო ცვლილებებს, საექსპერტო-კრიმინალისტური დეპარტამენტის საქმიანობის გაუმჯობესების კუთხით არსებულ გეგმებს, შემაკავებელი ორდერისა და რისკების განახლებული ინსტიტუტების ამოქმედებას, საინფორმაციო კამპანიას (ქალთა მიმართ ძალადობის და ნაადრევი ქორწინების შესახებ) და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებს.

მოხსენების შემდეგ პროცედურა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კითხვა სულ 19-მა დეპუტატმა დასვა (4 – „ქართული ოცნება“, 4 – „ენმ“, 2 – „რეფორმების ჯგუფი“, 3 – „გირჩი“, 1 – „ევროპელი სოციალისტები“, 2 – „ევროოპტიმისტები“, 2 – „თავისუფლება“, 1 – „ლელო“).

ოპოზიციის მიერ კითხვების დასმისას ზოგჯერ დარბაზში იყო ხმაური, რაზეც პარლამენტის თავმჯდომარე არ რეაგირებდა.⁶⁸ მინისტრმა თითქმის ყველა კითხვას უპასუხა, თუმცა პასუხები, ძირითადად, იყო ძალიან ზოგადი და მოკლე. იგი ხშირად იმეორებდა, რომ ამ საკითხებზე მოხსენებით გამოსვლისას უკვე ისაუბრა.

დაუსვტების უფლებით 5-მა დეპუტატმა ისარგებლა. ყველა მათგანი ოპოზიციას წარმოადგენდა. დეპუტატ რომან გოცირიძის შეკითხვა შეეხებოდა კატარიდან 22 მილიონი დოლარის ღირებულების საფრენი აპარატების შემოტანას, ასევე რუსეთის მიერ ე.წ. მესამე ქვეყნის გავლით სანქციებისთვის თავის არიდების შესაძლო სქემაზე. შალვა პაპუაშვილმა რომან გოცირიძის ნათქვამს დეზინფორმაცია და ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული კამპანია უწყდა. მან თავისი გამოსვლა გაამართლა იმით, რომ მისი, როგორც თავმჯდომარის, მოვალეობა იყო, მათ შორის, პარლამენტის ღირსების დაცვა. შალვა პაპუაშვილმა, ამ შემთხვევაში, დაარღვია რეგლამენტის მოთხოვნები, ვინაიდან პლენარული სხდომის თავმჯდომარეს უფლება არ აქვს, კომენტარი გააკეთოს პარლამენტის წევრის გამოსვლაზე, ამ მიზნით მას სიტყვა შეაწყვეტინოს, მისი ნათქვამი შეაფასოს ან უპასუხოს შეკითხვას, თუ ის უშუალოდ მას არ დაუსვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პარლამენტის წევრი არღვევს რეგლამენტის მოთხოვნებს.⁶⁹ ამ შემთხვევაში კი, პარლამენტის წევრს რეგ-

⁶⁷ მინისტრის საათი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის გამოსვლა, საქართველოს პარლამენტის იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=mPvZQHv27AK>, <https://www.youtube.com/watch?v=CoEB6Kzf4vA>, განახლებულია: 15.04.24.

⁶⁸ მაგალითად, ზატია დეკანოიძისა და დავით ზილფიმიანის მიერ კითხვების დასმისას.

⁶⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 90-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

ლამენტის მოთხოვნა არ დაურღვევია. მინისტრმა დამაზუსტებელ კითხვებსაც ძალიან მოკლედ და ზედაპირულად უპასუხა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მინისტრის გამოსვლა მეტ-ნაკლებად საქმიანი იყო. კითხვების მნიშვნელოვანი ნაწილი ასახავდა მიმდინარე მოვლენებს და ნაკლებად შეეხებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციასა და ერთწლიანი საქმიანობის ანგარიშს. პლენარული სხდომა არ იყო სათანადოდ მართული თავმჯდომარის მიერ. **აუცილებელია, პარლამენტის თავმჯდომარემ დაიცვას რეგლამენტის მოთხოვნები.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის საათი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი პარლამენტის წინაშე წარდგა 2024 წლის 3 აპრილს.⁷⁰ პროცედურის ფარგლებში მინისტრის გამოსვლას პარლამენტის 116 წევრი ესწრებოდა. მოხსენება 51 წუთი გაგრძელდა. მისი გამოსვლა შეეხებოდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები და მაკროეკონომიკური პარამეტრები, ქვეყნის შესაძლებლობებისა და შეფარდებითი უპირატესობების ეფექტიანი გამოყენება, კერძო სექტორის განვითარება, სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივები, პირდაპირი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, სხვადასხვა ეკონომიკური დარგი (ენერჯეტიკა, ტურიზმი, ავიაცია, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ინტერნეტიზაცია, სივრცითი განვითარება, სამშენებლო სექტორის განვითარება და სხვა). მინისტრმა ისაუბრა ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით 2023 წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებსა და სამომავლო გეგმებზე.

გამოსვლის დასრულების შემდეგ პროცედურა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კითხვა სულ 28 დეპუტატმა დასვა (14 – „ქართული ოცნება“, 2 – „ხალხის ძალა“, 5 – „ემ“, 3 – „რეფორმების ჯგუფი“, 1 – „ევროპელი სოციალისტები“, 1 – „ევროპტიმისტები“, 1 – „ლელო“, 1 – უფრაქციო).

მინისტრმა შეკითხვების დიდ ნაწილს უპასუხა, მაგრამ რამდენიმე კითხვა დარჩა პასუხგაუცემელი.⁷¹

დაზუსტების უფლებით სამმა დეპუტატმა ისარგებლა. სამივე ოპოზიციის წარმომადგენელი იყო. მინისტრმა მათ კითხვებსაც უპასუხა.

საერთო ჯამში, მინისტრის გამოსვლა საქმიან გარემოში მიმდინარეობდა, იგი არ სცდებოდა მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს. გამორჩევადა გამოიკვეთა ოპოზიციის მხრიდან კითხვისთვის განკუთვნილი დროის გამოყენება საკუთარი აზრის გამოსახატავად, უმრავლესობის მხრიდან კი - ოპოზიციის გასაკრიტიკებლად.

ფინანსთა მინისტრის საათი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინაშე წარდგა 2024 წლის 21 თებერვალს.⁷² მის გამოსვლას 103 დეპუტატი ესწრებოდა. მოხსენება 36 წუთი გაგრძელდა. ლაშა ხუციშვილმა ისაუბრა მაკროეკონომი-

⁷⁰ მინისტრის საათი - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილის გამოსვლა, საქართველოს პარლამენტის იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=zk-16eimY-g> <https://www.youtube.com/watch?v=bznL8-Fz8>, განახლებულია: 22.04.24.

⁷¹ მაგალითად, რომან გოცირიძის შეკითხვა როდმილდების კომპანიისთვის 10 მილიონი ლარის გადახდის თაობაზე.

⁷² მინისტრის საათი - საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, საქართველოს პარლამენტის იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=PBSSXogzAFk>, <https://www.youtube.com/watch?v=Y10kbG9f8XU>, განახლებულია: 11.05.24.

კურ მაჩვენებლებზე, ინფლაციაზე, ექსპორტისა და იმპორტის მოცულობაზე, ბიუჯეტის შესრულების პარამეტრებზე.

მინისტრის საათის ფარგლებში, მომხსენებელი აგრეთვე შეეხო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საჯარო ფინანსების მართვის კუთხით მიღწეული შედეგები, სახელმწიფო ინვესტიციებისა და ვალის მართვა, სახელმწიფო წარმოების რეფორმა, საგადასახადო დანახარჯები, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, საგადასახადო დავები და დავალიანებები, შიდა აუდიტის სისტემა, ფინანსური მართვა და კონტროლი, სათამაშო ბიზნესის კუთხით არსებული სახელმწიფო პოლიტიკა, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, საგანმანათლებლო საქმიანობა, ეკონომიკური დანაშაულების პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა, სანქციების აღსრულება და საერთაშორისო ღონისძიებები. მინისტრმა ასევე მოკლედ ისაუბრა 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობასა და განაწილებაზე. მთლიანობაში, მისი გამოსვლა იყო საქმიანი, თუმცა სრულად კონცენტრირებული წარმატებებზე. მას არ დაუსახელებია არცერთი გამოწვევა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს წინაშე არსებობს და გამოსწორება აქამდე ვერ მოხერხდა.

მომხსენების დასრულების შემდეგ პროცედურა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კითხვა დასვა 19-მა დეპუტატმა (5 – „ქართული ოცნება“, 3 – „ენმ“, 2 – „რეფორმების ჯგუფი“, 3 – „ხალხის ძალა“, 2 – „ევროპელი სოციალისტები“, 2 – „ევროპეტიმისტი“, 1 – „თავისუფლება“, 1 – „საქართველოსთვის“). მინისტრმა დასმული შეკითხვების დიდ ნაწილს უპასუხა. რამდენიმე კი გამორჩა და დაუსტების ფარგლებში მათი გამოკრება ითხოვა.

კითხვის დაუსტების უფლება 3-მა ოპოზიციონერმა დეპუტატმა გამოიყენა. მინისტრმა მათაც გასცა პასუხი. მთლიანობაში, დეპუტატების კითხვები, ისევე როგორც მინისტრის პასუხები, იყო თემატური. რაიმე არსებითი პროცედურული ხარვეზი არ გამოვლენილა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის საათი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია პარლამენტის წინაშე წარდგა 2024 წლის 29 მაისს.⁷³ სხდომაზე რეგისტრაცია გაიარა 83-მა დეპუტატმა. მინისტრის მოხსენება 46 წუთი გაგრძელდა.

მომხსენების ფარგლებში მინისტრმა დიდი დრო დაუთმო სოფლის მეურნეობის პოლიტიკაზე საუბარს. ის შეეხო სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს, მათ შორის: „დანერგე მომავალი“, „სამეწარმეო საქმიანობის განვითარების პროგრამა“, მაღალმთიანი რეგიონებისთვის მცირე ტექნიკის დაფინანსების პროექტი, თხილის სუბსიდირების პროგრამა, აგროდაზღვევა, საზღვაო აკვაკულტურების პროგრამა და სხვა.

მომხსენებელმა აგრეთვე ისაუბრა გარემოს დაცვის მიზნით სამინისტროს ინიციატივით მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე.

მომხსენების დასრულების შემდგომ პროცედურა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კითხვა დასვა სულ 5-მა პარლამენტის წევრმა. 5-ვე მათგანი „ქართული ოცნების“ ფრაქციიდან იყო.

საერთო ჯამში, ოთარ შამუგიას გამოსვლა იყო საქმიანი და ეხებოდა უშუალოდ ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებს. მან შეკითხვე-

⁷³ მინისტრის საათი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია - 29.05.2024, საქართველოს პარლამენტის იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=X5spFOVHIYY>, განახლებულია: 07.13.24.

ბსაც ამომწურავად უპასუხა. პრობლემა ის იყო, რომ, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, ოპოზიცია ფაქტობრივად არ ესწრებოდა მინისტრის მოხსენებას, შესაბამისად, ნაკლებად იყო კრიტიკული კითხვები. პროცედურული თვალსაზრისით, სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი დარღვევა არ გამოვლენილა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის საათი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძე პარლამენტის წინაშე წარდგა 2024 წლის 30 მაისს.⁷⁴ სხდომაზე რეგისტრაცია გაიარა 80-მა დეპუტატმა. მინისტრის გამოსვლა 33 წუთი გაგრძელდა. მან საუბარი მაღლობებით დაიწყო. მინისტრმა მაღლობა გადაუხადა შალვა პაპუაშვილს, ირაკლი კობახიძესა და თეა წულუკიანს.

მინისტრი, მოხსენების ფარგლებში, თემატურად მიჰყვებოდა საკითხებს. თავდაპირველად, მან ისაუბრა ჯანდაცვაზე, ამ მიმართულებით მინისტრის რანგში მის მიერ გამართულ ვიზიტებზე, შეხვედრებსა და შესაბამის შედეგებზე. ასევე, შეეხო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, C ჰეპატიტის ელიმინაციისა და ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამებს, პირველადი ჯანდაცვის საკითხებს, ონკოლოგიური ბავშვების სამკურნალოდ გაგზავნას და სხვა.

მინისტრმა განიხილა ამ სფეროში არსებული გამოწვევებიც, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი გამოსვლა იყო ძალიან მოკლე და ზოგადი, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ჯანდაცვის სამინისტრო ერთ-ერთი ყველაზე დიდი უწყებაა და რამდენიმე ძირეულ მიმართულებას უძღვება. მინისტრი ხშირად უთითებდა წარდგენილ წერილობით მოხსენებაზე და იქ მოცემული ტექსტის გამეორებას საჭიროდ აღარ მიიჩნევდა. ასევე, უარყოფითად უნდა შეფასდეს, რომ მინისტრი ნაკლებად საუბრობდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებზე. მეტწილად, ის მთლიანობაში მიმოიხილავდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ გადადგმულ ნაბიჯებს და 2012 წლამდე არსებულ მდგომარეობას აღარებდა.

მოხსენების დასრულების შემდგომ პროცედურა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კითხვა დასვა პარლამენტის 13-მა წევრმა (11 – „ქართული ოცნება“, 1 – „ხალხის ძალა“, 1 – „ევროპელი სოციალისტები“). მიხეილ სარჯველაძემ დეტალურად გასცა პასუხი ყველა შეკითხვას. ეს ნაწილი უფრო საქმიანი და კონკრეტული ჩანდა, ვიდრე, ზოგადად, გამოსვლა.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის საათი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გიორგი ამილახვარი პარლამენტის წინაშე წარდგა 2024 წლის 13 ივნისს.⁷⁵ მინისტრის გამოსვლას პარლამენტის 83 წევრი ესწრებოდა. მოხსენება 1 საათი და 11 წუთი გაგრძელდა.

⁷⁴ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის გამოსვლა, საქართველოს პარლამენტის იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=BkeF6mPqsng>, განახლებულია: 08.06.24.

⁷⁵ მინისტრის საათი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გიორგი ამილახვარი, საქართველოს პარლამენტის იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=ITDQcsyIW60&t=4s>, განახლებულია: 15.07.24.

მინისტრმა თავისი გამოსვლა დაყო განათლების საფეხურების მიხედვით. თავდაპირველად ისაუბრა სკოლამდელ განათლებაზე, შემდეგ ზოგად განათლებაზე, შემდეგ კი პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე.

მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საკითხებთან დაკავშირებით მხოლოდ მცირედი ინფორმაციით შემოიფარგლა.

მოხსენების დასრულების შემდგომ პროცედურა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კითხვა დასვა პარლამენტის 14-მა წევრმა. აქედან: 9 – „ქართული ოცნება“, 3 – „ხალხის ძალა“, 1 – „გირჩი“, 1 – „ევროპელი სოციალისტები“.

საბოლოო ჯამში, მინისტრის გამოსვლა, დასმული კითხვები და მისი პასუხები იყო საქმიანი და შეეხებოდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებს. გამოსვლას არ ესწრებოდა ოპოზიციის დიდი ნაწილი, შესაბამისად, კითხვების რაოდენობა შედარებით მცირე, მათი შინაარსი კი ნაკლებად კრიტიკული იყო.

4.3. ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების მოწვევა პლენარულ სხდომაზე

პარლამენტის რეგლამენტით, პლენარულ სხდომაზე თანამდებობის პირთა საკუთარი სურვილით გამოცხადების გარდა, განსაზღვრულია მათი დაბარების შესაძლებლობაც. კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პარლამენტის დამსწრეთა უმრავლესობის, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ის მხარდაჭერით, შესაძლებელია საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე დაბარება, რათა მან წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში და პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს.⁷⁶ მე-10 მოწვევის პარლამენტის პირველი ორი წლის მსგავსად,⁷⁷ არც 2023 წლის საგაზაფხულო⁷⁸ და არც 2024 წლის საგაზაფხულო⁷⁹ და საშემოდგომო⁸⁰ სესიებზე ეს მექანიზმი არ გამოყენებულა. ამ უფლებით პარლამენტს არც 2019-20 წლებში უსარგებლია.⁸¹ ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს გადაწყვეტილების მიღების კვორუმი და ამ კუთხით უმრავლესობის პასიურობა. ერთი მხრივ, კვორუმი არ უნდა იყოს სრული შემადგენლობის 1/3-ზე ნაკლები, თუმცა, ამავე დროს, უნდა იყოს დამსწრეთა უმრავლესობა. ზოგჯერ „დამსწრეთა უმრავლესობა“ უფრო მეტია, ვიდრე ოპოზიციის ხმები. ამის საპირისპიროდ, უმრავლესობას, რომელსაც აქვს „დამსწრეთა უმრავლესობის“ მოსაპოვებლად საკმარისი ხმები, არ არის დაინტერესებული, მინისტრი პლენარულ სხდომაზე დაიბაროს.

⁷⁶ საქართველოს კონსტიტუცია, 44-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

⁷⁷ გ. ალავერდაშვილი, ნ. კაპანაძე, „საპარლამენტო კონტროლი მეათე მოწვევის პარლამენტში: პირველი ნაწილი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023, 36.

⁷⁸ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილი.

⁷⁹ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁸⁰ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁸¹ ვ. მენაბდე, გ. ალავერდაშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 27.

4.4. ინტერპელაცია⁸²

4.4.1. ინტერპელაციის ჩატარების სისხშირე და თითოეული ინტერპელაციის დრო⁸³

2023 წლის საგაზაფხულო სესია

2023 წლის 23 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ინტერპელაციის წესით, შეკითხვით დეპუტატთა 9-კაციანმა შემადგენლობამ მიმართა.⁸⁴ რეგლამენტის მოქმედი ნორმის თანახმად, პროცედურა 2023 წლის თებერვლის ბოლო პარასკევს, 24 თებერვალს უნდა გამართულიყო. თუმცა, პრემიერ-მინისტრმა თხოვნით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ ამ ინტერპელაციისთვის პასუხი გაეცა რეგლამენტით დადგენილი მომდევნო ინტერპელაციის ფარგლებში, რადგან 23 და 24 თებერვალს დაგეგმილი იყო ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში.⁸⁵ შედეგად, პრემიერ-მინისტრის ინტერპელაცია გაიმართა 2023 წლის 24 მარტს.⁸⁶

2022 წლის 7 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართა დეპუტატთა 7-კაციანმა შემადგენლობამ.⁸⁷ იმავე წლის 19 სექტემბერს საგარეო საქმეთა მინისტრმა პარლამენტის თავმჯდომარეს ინტერპელაციის გადადება სთხოვა, რადგან 20-26 სექტემბერს ის გაეროს გენერალური ასამბლეის რიგით 77-ე სესიის მაღალი დონის კვირეულში მონაწილეობდა.⁸⁸ მოგვიანებით, 2023 წლის 21 თებერვალს, მინისტრმა კვლავ ითხოვა იმავე ინტერპელაციის გადადება.⁸⁹ საბოლოოდ, მოსმენა 2023 წლის 24 მარტს გაიმართა.⁹⁰

ვინაიდან ორივე ინტერპელაცია ერთ დღეს იყო, ისინი რეგლამენტით დადგენილი წესით გაიმართა. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ დათქმულ დროს ამ თანამდებობების პირთა გამოუცხადებლობა არის კონსტიტუციის დარღვევა, რადგან, უზენაესი კანონის თანახმად, ადრესატი ვალდებულია, დასმულ შეკითხვას უპასუხოს პარლამენტის სხდომაზე.⁹¹ მართალია, ფორმალურად ორივე პირმა ეს ვალდე-

⁸² ამ საკითხზე თეორიული მსჯელობა მოცემულია ამავე კვლევის პირველ ნაწილში. გ. ალავერდაშვილი, ნ. კაპანაძე, „საპარლამენტო კონტროლი მეთაუ მოწვევის პარლამენტში: პირველი ნაწილი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023, 36-37.

⁸³ ინტერპელაციის ჩატარების სისხშირესთან დაკავშირებით წინარე გამოცდილება განხილულია ამავე კვლევის პირველ ნაწილში. გ. ალავერდაშვილი, ნ. კაპანაძე, „საპარლამენტო კონტროლი მეთაუ მოწვევის პარლამენტში: პირველი ნაწილი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023, 37-39.

⁸⁴ ეს დეპუტატები იყვნენ: თეონა აქუბარდია, ხათუნა სამნიძე, ტარიელ ნაკაიძე, ანა ბუჩუკური, თამარ კორძია, მიხეილ დაუშვილი, ბექა ლილუაშვილი, შალვა კერესელიძე და არმაზ ახვლედიანი. საქართველოს პარლამენტის წევრების 2023 წლის 23 იანვრის №567/3-2/23 წერილი, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/24.03.2025/premieri/323714.pdf>, განახლებულია: 04.11.23.

⁸⁵ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2023 წლის 21 თებერვლის №5517 წერილი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/321016>, განახლებულია: 04.11.23.

⁸⁶ საქართველოს პარლამენტის ოფიციალური იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=whRDtSDFgWg>, განახლებულია: 04.11.23.

⁸⁷ ეს დეპუტატები იყვნენ: თეონა აქუბარდია, ტარიელ ნაკაიძე, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ვაშაძე, პაატა მანჯგალაძე, ხათუნა სამნიძე და დავით ბაქრაძე. საქართველოს პარლამენტის წევრების 2022 წლის 7 სექტემბრის №8178/3-2/22 წერილი, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/18.11.2022/darchiashvili/kitxva.pdf>, განახლებულია: 04.11.23.

⁸⁸ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2022 წლის 19 სექტემბრის №01/28430 წერილი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/306091>, განახლებულია: 04.11.23.

⁸⁹ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2023 წლის 21 თებერვლის №01/5881 წერილი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/321017>, განახლებულია: 04.11.23.

⁹⁰ საქართველოს პარლამენტის ოფიციალური იუთუბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=oU8MYnsEwuQ>, განახლებულია: 04.11.23.

⁹¹ საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ბულება შეასრულა, თუმცა - ვადების დარღვევით. კონსტიტუციის ნორმა მხოლოდ ფორმალურად არ უნდა განიმარტოს, რადგან ამ პროცესში იგი დაკარგავს თავის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას - ასახოს თუ აირეკლოს იმ საზოგადოებაში არსებული აღქმები, რომელშიც იგი ოპერირებს. ფორმალური კონსტიტუციის ნაცვლად, ე.წ. ცოცხალი კონსტიტუციის იდეამ უნდა წამოიწიოს წინა პლანზე. ინტერპელაციის დანიშნულებაა, საპარლამენტო ჯგუფმა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან პასუხები მიიღოს იმ პერიოდში არსებულ აქტუალურ საკითხებზე. როდესაც თანამდებობის პირი შეკითხვებს პასუხს სცემს 1 თვის ან თითქმის ნახევარი წლის დაგვიანებით, ბუნებრივია, იმ თემის აქტუალურობა შეიძლება შემცირებული ან სრულად გამქრალიც იყოს. ამიტომ, აუცილებელია, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა იმგვარად დააორგანიზონ საკუთარი აქტივობები, რომ ამით პარლამენტს ხელი არ შეუშალოს მისი ერთ-ერთი კონსტიტუციური როლის - მაკონტროლებლის ფუნქციის შესრულებაში.

2023 წლის საშემოდგომო სესია

ინტერპელაციის წესით შეკითხვა ფრაქციამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს გაუგზავნა 2023 წლის 14 აგვისტოს.⁹² წერილობითი პასუხი 2023 წლის 22 სექტემბრით თარიღდება,⁹³ რომელსაც თავად მინისტრი აწერს ხელს. ინტერპელაციის აღრესატი პარლამენტში ამავე დღეს გამოცხადდა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისთვის გაგზავნილი ინტერპელაციის შეკითხვა თარიღდება 2023 წლის 10 აპრილით,⁹⁴ მინისტრის წერილობითი პასუხი კი - 2023 წლის 26 აპრილით.⁹⁵ წერილს თავად მინისტრი აწერს ხელს, რითაც აკმაყოფილებს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს. ასევე, მართალია, რეგლამენტის მიხედვით, ინტერპელაციის წესით აღრესატი პარლამენტში მიმდინარე თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს უნდა წარმდგარიყო, თუმცა ინტერპელაცია 2023 წლის 22 სექტემბერს გაიმართა, რითაც დაირღვა პარლამენტის რეგლამენტი. მსგავსი შემთხვევა წინა სესიაზეც გამოვლინდა, რაც შეფასებულია შესაბამის ქვეთავში.

დეპუტატთა 9-წევრიანმა ჯგუფმა 2023 წლის 12 სექტემბერს ინტერპელაციის წესით შეკითხვა გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს.⁹⁶ მინისტრის

⁹² ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ ინტერპელაცია, წერილი №6181/3-9/23, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/22.09.2023/gomelauri/enm_14_08_2023.pdf, განახლებულია: 12.03.24.

⁹³ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წერილობითი პასუხი საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვებზე, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/22.09.2023/gomelauri/mia_22_09_2023.pdf, განახლებულია: 12.03.24.

⁹⁴ პარლამენტის წევრების რომან გოციროძის, ნატო ჩხეიძის, როსტომ ჩხეიძის, თამარ კორძაიას, თონა აქუბარდიას, ხატია დეკანოიძის, დავით უსუფაშვილის, არმაზ ახვლედიანის, ბექა ლილუაშვილის, მიხეილ დაუშვილის, სალომე სამადაშვილისა და ანა ნაცვლიშვილის წერილი, №2711/3-17/23, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/19.05.2023/davitashvili/kixva-10.04.2023.pdf>, განახლებულია: 13.03.24.

⁹⁵ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის წერილი, №17/3273, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/19.05.2023/davitashvili/pasukhi-26.04.2023.pdf>, განახლებულია: 13.03.24.

⁹⁶ პარლამენტის წევრების თონა აქუბარდიას, სათუნა სამხიძის, ტარიელ ნაკაიძის, თამარ კორძაიას, ანა ბუჩუკურის, ალექსანდრე მოწერელიას, ბექა ლილუაშვილის, მიხეილ დაუშვილისა და შალვა კერესელიძის წერილი, №6705/3-2/23, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/20.10.2023_darchiashvili/kixva-12.09.2023.pdf, განახლებულია: 13.03.24.

წერილობითი პასუხი, მისივე ხელმოწერით, პარლამენტს 2023 წლის 18 ოქტომბერს წარუდგინა,⁹⁷ მოსმენა კი 20 ოქტომბერს ჩატარდა.⁹⁸

2024 წლის საგაზაფხულო სესია

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ინტერპელაცია

პარლამენტის დეპუტატთა შვიდეციანმა ჯგუფმა 2023 წლის 29 ნოემბერს ინტერპელაციის წესით შეკითხვა გაუგზავნა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნათელა თურნავას.⁹⁹ წერილობითი პასუხი პარლამენტს გაუგზავნა 2024 წლის 22 თებერვალს.¹⁰⁰ პასუხს ხელს აწერს თავად ადრესატი.¹⁰¹ რეგლამენტის მოთხოვნები ამ ნაწილში დაცულია. საპარლამენტო მოსმენა გაიმართა 2024 წლის 23 თებერვალს.¹⁰²

შინაგან საქმეთა მინისტრის ინტერპელაცია

პარლამენტის დეპუტატთა შვიდეციანმა ჯგუფმა შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს ინტერპელაციის წესით შეკითხვით 2024 წლის 11 მარტს მიმართა.¹⁰³ მინისტრმა წერილობითი პასუხი წარმოადგინა 18 აპრილს,¹⁰⁴ ხოლო 19 აპრილს ინტერპელაციის პროცედურა გაიმართა.¹⁰⁵ პასუხს ხელს თავად მინისტრი აწერს.¹⁰⁶ რეგლამენტის მოთხოვნები ამ კუთხით დაცულია.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ინტერპელაცია

პარლამენტის წევრთა 8-კაციანმა ჯგუფმა¹⁰⁷ 2024 წლის 29 მარტს ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარე-

⁹⁷ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი, №01/35077, ხელმისაწვდომია:

https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/20.10.2023_darchiashvili/pasuxi-18.10.2023.pdf, განახლებულია: 13.03.24.

⁹⁸ ინტერპელაცია - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი - 20.10.2023, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=HfqpCjRz4il>, განახლებულია: 10.12.24.

⁹⁹ საქართველოს პარლამენტის წევრების: ალექსანდრე ელისაშვილის, თეონა აქუბარდიას, იაგო ხვიჩიას, ალექსანდრე რაქვიაშვილის, ჰერმან საბოს, ვახტანგ მეგრელიძევილისა და ქეთევან თურაზაშვილის წერილი №9125/3-26/23 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნათელა თურნავას, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/2024/turnava/ask_19_11_2023.pdf, განახლებულია: 25.05.24.

¹⁰⁰ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნათელა თურნავას წერილი №2-14/552 საქართველოს პარლამენტს, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/356509?>, განახლებულია: 25.05.24.

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² ინტერპელაცია - ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნათელა თურნავა - 23.02.2024, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=FdAgU438vNg>, განახლებულია: 10.12.24.

¹⁰³ საქართველოს პარლამენტის წევრების: თეონა აქუბარდიას, ანა ბუჩუკურის, ქეთევან თურაზაშვილის, ნატო ჩხეიძის, ხატია დეკანოიძის, ანა წითელიძისა და ანა ნაცვლიძევილის წერილი №1726/3-2/24 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/19.04.2024/ask-11.03.2024.pdf>, განახლებულია: 25.05.24.

¹⁰⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის წერილი MIA 4 24 01176675, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/360610>, განახლებულია: 25.05.24.

¹⁰⁵ პარლამენტის პლენარული სხდომა - 19.04.2024, ხელმისაწვდომია:

<https://www.youtube.com/watch?v=gT7aOOAO3wl>, განახლებულია: 25.05.24.

¹⁰⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის წერილი MIA 4 24 01176675, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/360610>, განახლებულია: 25.05.24.

¹⁰⁷ მათ შორის იყვნენ არმაზ ახვლედიანი, თეონა აქუბარდია, რომან გოცირიძე, ხატია დეკანოიძე, ალექსანდრე ელისაშვილი, ქეთევან თურაზაშვილი, ანა ნაცვლიძევილი და დავით საჯიშვილი.

ბის მინისტრ ლევან დავითაშვილს.¹⁰⁸ მინისტრს კითხვებზე წერილობითი პასუხი არ გაუცია. მეტიც, ის არც პარლამენტში გამოცხადებულა, მიუხედავად იმისა, რომ ის 19 აპრილს ინტერპელაციის წესით იყო დაბარებული. ამის ნაცვლად, მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ენუქიძემ 2024 წლის 18 აპრილს საქართველოს პარლამენტს გაუგზავნა წერილი,¹⁰⁹ რომლითაც აცნობა, რომ ენერგეტიკის სექტორში პოტენციურ ინვესტიორებთან შეხვედრების გამართვის მიზნით, 18-19 აპრილს მინისტრი მივლინებული იყო არაბთა გაერთიანებულ საამიროებში და ამიტომ ვერ შეძლებდა ინტერპელაციის წესით პარლამენტის წინაშე წარდგომას. ამ წერილში ხაზგასმულია, რომ ღონისძიება დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი. სწორედ ამიტომ, მინისტრსა და ადრესატებს შორის კოორდინაციის შედეგად, შესაძლებელი იყო ინტერპელაციის თარიღის შერჩევა. რეგლამენტის ჩანაწერი „როგორც წესი“ იძლევა ლავირების საშუალებას. ამ სიტყვების მიზანია, მინისტრი და მისი მომწვევი სუბიექტი შეთანხმდნენ ახალ გონივრულ თარიღზე, რომელიც შეიძლება შეიცვალოს რამდენიმე დღით ან, მაქსიმუმ, 1 კვირით. ამჟამად მეტი დროით მოსმენის გადადება განსახილველ საკითხს დაუკარგავს აქტუალურობას და კონტროლის ეს მექანიზმიც ილუზორული გახდება. ამ შემთხვევაში, მინისტრის გამოცხადებლობა არის კონსტიტუციის დარღვევა და იმპიჩმენტის საფუძველი.

4.4.2. ინტერპელაციის თემისა და გამართული დებატების შესაბამისობა

2023 წლის საგზაოხელო სესია

პრემიერ-მინისტრის ინტერპელაცია

პრემიერ-მინისტრისთვის გაგზავნილი ინტერპელაციის შეკითხვები შეეხებოდა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს, ეროვნული უსაფრთხოების სფეროში კონცეპტუალური დოკუმენტების განახლების საჭიროებას, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შეკრებას, კრიტიკული ინფრასტრუქტურის განმტკიცებას, თავდაცვის ბიუჯეტს, თავდაცვისუნარიანობის გასაზრდელად დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობას. გარდა ამისა, დეპუტატები დაინტერესდნენ, როგორ აპირებს ხელისუფლება რეზოლუციით მოწოდებული დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საერთო ეროვნული ხედვის შემუშავებას, ასევე, ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცებას.¹¹⁰

სხდომაზე რეგისტრაცია გაიარა 113-მა დეპუტატმა. გამოსვლის დაწყებამდე დეპუტატმა ხათუნა სამინიძემ იკითხა, არსებობდა თუ არა პრემიერ-მინისტრის მიერ გამოგზავნილი წერილობითი პასუხი,¹¹¹ რომლის მოწოდებასაც რეგლამენტი ითვალისწინებს. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ასეთი პასუხი გამოეგზავნა პარლამენტს. ასევე, მმართველი პარტიის დეპუტატმა განმარტა, რომ ინტერპელაციის პროცედურა არ ითვალისწინებდა წერილობითი პასუხის რამდენიმე დღით ადრე მოწოდების აუცილებლობას, თუმცა ინტერპელაციის ადრესატი ვალდებულია, რომ პასუხი პარლამენტის წინაშე გამოსვლამდე წარმოადგინოს. შესაბამისად, დეპუტატის განმარტებით, პარლამენტარებისთვის წერილობითი პასუხის წინასწარ

¹⁰⁸ საქართველოს პარლამენტის წევრთა 2024 წლის 29 მარტის წერილი №2326/3-3/24, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/360459>, განახლებულია: 13.07.24.

¹⁰⁹ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ენუქიძის 2024 წლის 18 აპრილის №04/2636 წერილი საქართველოს პარლამენტს. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/360611>, განახლებულია: 04.11.23.

¹¹⁰ საქართველოს პარლამენტის წევრების 2023 წლის 23 იანვრის №567/3-2/23 წერილი, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/24.03.2025/premieri/323714.pdf>, განახლებულია: 04.11.23.

¹¹¹ პრემიერ-მინისტრის 2023 წლის 24 მარტის პასუხი №8894, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/24.03.2025/premieri/323715.pdf>, განახლებულია: 04.11.23.

დარიგება არ იყო რეგლამენტით განსაზღვრული. ამის შემდეგ თავად პრემიერმა დაადასტურა, რომ წერილობითი პასუხი ინტერპელაციის დღეს, დილით მიაწოდა პარლამენტს. ხათუნა სამნიძემ ითხოვა 5-წუთიანი ტექნიკური შესვენების გამოცხადება, რათა წერილობითი პასუხის გაცნობის შესაძლებლობა ჰქონოდა, რაზეც პარლამენტის თავმჯდომარისგან უარი მიიღო.

პრემიერ-მინისტრის გამოსვლა დაახლოებით 40 წუთი გაგრძელდა, რაც 10 წუთით აღემატება რეგლამენტით დადგენილ მაქსიმალურ დროს.¹¹² გამოსვლის დასრულების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სამართლიანი იქნება, თუ გამომსვლელებს მიეცემა რეგლამენტით გამოყოფილზე მეტი დრო, რათა ამომწურავად შეძლონ პასუხების გაცემა. პაპუაშვილის თქმით, ის მომდევნო ინტერპელაციებზეც ამ მიდგომით იხელმძღვანელებს (იგულისხმება დროის დამატება). საკითხისადმი ასეთი მიდგომა მიუთითებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის არასრულ გააზრებაზე. როდესაც სამართლის ნორმა იმპერატიულად ადგენს კონკრეტული ქვევის წესს, რამდენად მიუღებელიც არ უნდა იყოს იგი ვინმესთვის, მისი შესრულება სავალდებულოა. მოქმედებს პრინციპი *dura lex, sed lex* - კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია. ამიტომ, თუ რეგლამენტის ცალკეული ჩანაწერი ხარვეზიანია, კონსტიტუციით დადგენილი წესით უნდა გადაისინჯოს ის. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგლამენტს კანონის ძალა აქვს და დანარჩენი აქტორები, განსაკუთრებით საპარლამენტო სუბიექტები, მას უნდა იცავდნენ.

აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრის გამოსვლა და მის მიერ პარლამენტისთვის მიწოდებული წერილობითი პასუხები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან როგორც რიტორიკული, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. წერილობითი პასუხი ოფიციალური სტილით იყო შედგენილი და პასუხობდა დეპუტატების მიერ გაგზავნილ შეკითხვებს, ზეპირი გამოსვლა კი, ძირითადად, პოლიტიკური ოპონენტების კრიტიკას და ე.წ. „მეორე ფრონტის“ შესახებ მსჯელობას დაეთმო. ასევე, სიტყვით გამომსვლელი დეპუტატების უმრავლესობა მხოლოდ ნაწილობრივ, ზოგადი თემატიკის ნაწილში ეხებოდა გაგზავნილ შეკითხვებს.

ეს პრაქტიკა არ შეესაბამება ინტერპელაციის მექანიზმის არსს. მისი დანიშნულებაა გაგზავნილ შეკითხვაზე პასუხის მიღება პლენარულ სხდომაზე. შესაბამისად, კითხვაც და პასუხიც სწორედ ინტერპელაციის შინაარსით უნდა იყოს ზღვარდადებული. სხვა საკითხებთან დაკავშირებით შესაძლებელია კონტროლის სხვა ან ამავე მექანიზმის გამოყენება, თუ ავტორი მათ შესახებ გაგზავნის შესაბამის შეკითხვებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერპელაცია

საგარეო საქმეთა მინისტრისთვის გაგზავნილი ინტერპელაციის შეკითხვები შეეხებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულ ქმედებებს (ბიჭვინთის აგარაკების რუსეთის მფლობელობაში გადასვლა, სოხუმის აეროპორტის აღდგენა და სხვა) და მათზე საქართველოს დიპლომატიურ რეაგირებას, ასევე, საქართველოს ხელისუფლების ანტიდასავლურ რიტორიკას, ევროინტეგრაციისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, პრემიერ-მინისტრის კონკრეტულ ვიზიტებსა და შეხვედრებს.¹¹³ ერთი ინტერპელაციის ფარგლებში არსებითად განსხვავებული საკითხების დასმა ხელს უშლის თავად ამ მექანიზმის ნამდვილი მიზნის მიღწევას - თემის სიღრმისეულ გამოკვლევას. მსგავსი ტენდენცია წინა წლებშიც შეინიშნებოდა.¹¹⁴ **ამიტომ, რეკომენდებულია, ერთი ინტერპე-**

¹¹² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

¹¹³ საქართველოს პარლამენტის წევრების 2022 წლის 7 სექტემბრის №8178/3-2/22 წერილი, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/18.11.2022/darchiashvili/kitxva.pdf>, განახლებულია: 04.11.23.

¹¹⁴ ვ. მენაბდე, გ. ალავერდამშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი

ლაციის ფარგლებში გამოირიცხოს ერთმანეთისგან განსხვავებული საკითხების გაერთიანება.

მინისტრის გამოსვლა დაახლოებით 20 წუთი გაგრძელდა. პროცედურის დაწყებამდე პარლამენტის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ საათ-ნახევარი საკმარისი იქნებოდა პროცედურისთვის, ვინაიდან ამის შემდეგ მინისტრს უნდა დაეტოვებინა პარლამენტი, რათა მასპინძლობა გაეწია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის. შალვა პაპუაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ დროის უკმარისობის შემთხვევაში შესაძლებელი იყო ორსაათიანი შესვენების გამოცხადება და პროცედურის შემდგომ განახლება.

შეკითხვის ავტორმა თეონა აქუბარდიამ აღნიშნა, რომ მინისტრისთვის 7 თვის წინ გაგზავნილი კითხვები, შესაძლოა, აღარ ყოფილიყო აქტუალური.

მინისტრის თქმით, მართალია, მან 7 თვის განმავლობაში ვერ შეძლო პარლამენტში მისვლა, თუმცა „დასაბუთებულად უპასუხა“. გაუგებარია, რა იგულისხმა მინისტრმა ამ სიტყვებში: ინტერპელაციის შეკითხვაზე პასუხი თუ მოუსვლელობის მიზეზების დასაბუთება.

გამოსვლების ფორმატში დეპუტატების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ნაწილი, ისევე, როგორც დასმული შეკითხვები, სცილდებოდა ინტერპელაციის კითხვების შინაარსს. ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემაც აღნიშნა დეპუტატ ფრიდონ ინჯიას გამოსვლის დროს. პაპუაშვილის თქმით, ინტერპელაციას აქვს გარკვეული თემატიკა და ეს პროცედურა არ უნდა აგვირიოს მინისტრის საათში. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი დროის სიმცირეს. სწორედ შეზღუდული დროის გამო, მინისტრს დასკვნითი გამოსვლით, ფაქტობრივად, არ უსარგებლია და მხოლოდ რამდენიმე ფრაზით მიმართა პარლამენტარებს.

პრაქტიკა მიუთითებს, რომ, მიუხედავად ნორმების გაუმჯობესებისა, კვლავ პრობლემურია ინტერპელაციის დროის საკითხი. **კანონმდებელმა იმგვარად უნდა გაწეროს პროცედურა, რომ ინტერპელაცია სრულყოფილად წარიმართოს.**

2023 წლის საშემოდგომო სესია

შინაგან საქმეთა მინისტრის ინტერპელაცია

შინაგან საქმეთა მინისტრისთვის გაგზავნილი ინტერპელაცია ეხებოდა შოკში განვითარებული ღვარცოფული პროცესის პროგნოზირებას, მოსახლეობის დროულ გაფრთხილებასა და ევაკუაციას, უმაღლესი თანამდებობის პირების მხრიდან დანაშაულებრივ გულგრილობას, ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვას, შოკში სამძებრო-სამაშველო ოპერაციების დაგვიანების მიზეზებს, მეზობელი სახელმწიფოებისთვის დახმარების თხოვნაზე უარს, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამაშველო აღჭურვილობის მდგომარეობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობას. სამძებრო-სამაშველო ვერტიფერენის (HUEY II-ის) გრანტის წესით შესყიდვაზე სახელმწიფოს მხრიდან უარის თქმის მიზეზებს და ამასთან დაკავშირებით შსს-ს პოზიციას.

მინისტრის გამოსვლა დაახლოებით 28 წუთი გაგრძელდა. მისი მოხსენება შეესაბამებოდა წერილობით პასუხს. აღსანიშნავია, რომ გამომსვლელები სცდებოდნენ ინტერპელაციის საკითხს. **პროცედურისას აუცილებელია, კითხვა-პასუხი თანხვედრაში იყოს ინტერპელაციით გაგზავნილი შეკითხვის შინაარსთან.** ნებისმიერ სხვა თემაზე საუბარი იწვევს რეგლამენტის დარღვევას.

კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 39.

საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერპელაცია

საგარეო საქმეთა მინისტრისთვის გაგზავნილი ინტერპელაცია ეხებოდა პარლამენტისა და მთავრობის მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შესახებ ჩანაწერის არარსებობას სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ ერთობლივ განცხადებაში, ჩინეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის გავლენას ჩვენს საგარეო კურსზე, ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანებაზე, 14+1 ფორმატში მონაწილეობის გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მულტილატერალურობასა და ქვეყნის საგარეო ვექტორის ცვლილებაზე.

თეონა აქუბარდიამ კითხვის დასმის პროცესში აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მინისტრს სადეპუტატო კითხვითაც მიმართა, რომელზეც ვადაგადაცილება 70 დღეს შეადგენდა, პასუხი კი არ მიუღია. შეიძლება ითქვას, რომ ინტერპელაციის წესს დეპუტატები ზოგჯერ იმის გამო მიმართავენ, რომ სადეპუტატო კითხვებზე ანგარიშვალდებული პირებისგან პასუხებს ვერ იღებენ. შესაბამისად, ინტერპელაცია ამ კუთხით ალტერნატიულ შესაძლებლობად რჩება.

2024 წლის საგაზაფხულო სესია

ეროვნული ბანკის პროზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ინტერპელაცია

ინტერპელაციის კითხვები ქეთევან თურაზაშვილმა წარმოადგინა. ისინი შეეხებოდა „ლიბერტი ბანკის“ მიერ გაცემულ საპენსიო სესხებს და მიმოხილული იყო რამდენიმე პრობლემა: საპენსიო სესხების მაღალი პროცენტი, პანდემიისას „საშელავათო პერიოდის“ გამოყენებისთვის „ლიბერტი ბანკის“ მიერ სესხის ვადების გახანგრძლივება, ე.წ. „ოვერდრაფტები“, სესხების „ძველ ჩარჩოში“ დაბრუნების აღსრულების პრობლემები და სხვა. ინტერპელაციის ავტორებს აინტერესებდათ, ფლობდა თუ არა თურნავა ამ პრობლემებზე ინფორმაციას, ჰქონდა თუ არა ეროვნულ ბანკს შემუშავებული რეკომენდაციები ან რაიმე კონკრეტული მექანიზმები მათ მოსაგვარებლად. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ითხოვეს უარის დასაბუთებული არგუმენტაცია. ასევე, ინტერპელაციის ავტორებს აინტერესებდათ, რატომ არ იყო სესხების „ძველ ჩარჩოში“ დაბრუნების შესახებ რეკომენდაციები საჯარო.

ნათელა თურნავას მოხსენება 30 წუთი გაგრძელდა. მან ინტერპელაციის ფარგლებში დასმულ შეკითხვებს დეტალურად უპასუხა. მისი გამოსვლა იყო თემატური, სრულად მისდევდა წერილობით გაგზავნილ პასუხს.

გამოსვლებისას პარლამენტის წევრები სცდებოდნენ ინტერპელაციის კითხვებს და ეროვნული ბანკის კომპეტენციებს მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ასევე, უმრავლესობის წევრების გამოსვლები დიდწილად ოპოზიციის კრიტიკაზე იყო ორიენტირებული და - პირიქით.

თურნავამ დასკვნით სიტყვაშიც უპასუხა იმ კითხვებს და ეჭვებს, რომლებზეც გამოსვლების დროს ისაუბრეს პარლამენტის წევრებმა. მთლიანობაში, მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევა არ გამოვლენილა. თუმცა, ინტერპელაციის თემის მიღმა სხვა საკითხების განხილვა ისევ პრობლემად რჩება. **მნიშვნელოვანია, ინტერპელაციის ფორმატში მხოლოდ დასმული შეკითხვები განიხილებოდეს და მომხსენებელი მათ არ გასცდეს.**

მინაგან საქმეთა მინისტრის ინტერპელაცია

ინტერპელაციის შეკითხვები თეონა აქუბარდიამ წარმოადგინა. თემატურად ისინი, ერთი მხრივ, შეეხებოდა ოჯახში ძალადობასა და ქალთა მიმართ ძალადობას, მეორე მხრივ კი - ნარკოდანაშაულებს. დეპუტატებს აინტერესებდათ სამინისტროს

მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები და ითხოვდნენ გარკვეული ინფორმაციის გაზიარებას. გარდა წერილობით გაგზავნილი კითხვებისა, აქუბარდიამ ასევე კითხვა დასვა იმ პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე¹¹⁵ და ამ კუთხით მინისტრის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე.

მინისტრის გამოსვლა დაახლოებით 40 წუთი გაგრძელდა. მან საუბარი დაიწყო იმ პერიოდისთვის მიმდინარე მოვლენებით (აქციებით)¹¹⁶ და აღნიშნა, რომ იყო პოლიციელების მიმართ შეურაცხყოფა, სახელმწიფო სტრუქტურების მტურმით აღების მცდელობა და სხვა. მინისტრის ამ სიტყვას სხდომათა დარბაზში ხმაური მოჰყვა, რაც ოპოზიციონერი დეპუტატის, სალომე სამადაშვილის დარბაზიდან გაძევებით დასრულდა.

ინტერპელაციის შეკითხვებზე გადასვლისას ვახტანგ გომელაურმა უკმაყოფილება გამოხატა და აღნიშნა, რომ ამ საკითხებზე ერთი თვის წინ (იგულისხმავს მინისტრის საათის ფორმატი) უკვე ისაუბრა. მინისტრი მიჰყვებოდა წერილობით პასუხს და ინდივიდუალურად პასუხობდა თითოეულ კითხვას. უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრის საათისა და ინტერპელაციის მექანიზმები არსებითად განსხვავდება. ისინი სხვადასხვა მიზანს ემსახურება. ამიტომ, ერთ ფორმატში ცალკეული საკითხების შეფასება არ გამორიცხავს სხვა ფორმატში უფრო სიღრმისეული განხილვის საშუალებას.

საბოლოო ჯამში, პროცედურა საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში წარიმართა. საუბარი სცდებოდა ინტერპელაციის შეკითხვების შინაარსს. ამას დამატა დეპუტატ სამადაშვილის დარბაზიდან გაძევება და შესაბამისი გამომხარებები. გამოსვლებისას, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, თითქმის არავინ ამხვილებდა ყურადღებას ინტერპელაციის საკითხებზე და, ძირითადად, დეპუტატის ცემას, აქციებზე განვითარებულ მოვლენებს და სხვა თემებს განიხილავდნენ.

მნიშვნელოვანია, ინტერპელაციის პროცედურა არ გასცდეს დადგენილ ფარგლებს. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ პროცედურის დროს ხშირად აქცენტები კეთდება იმ დროისთვის აქტუალურ თემებზე და ინტერპელაციის ფორმატში დასმული შეკითხვა იკარგება. ამასთანავე, როგორც განხილული მაგალითები მოწმობს, მინისტრები ითხოვენ მის გადადებას გარკვეული ვადით, ზოგჯერ თვეობითაც კი. სწორედ ამიტომ, საია, უკვე წლებია, ითხოვს სამთავრობო საათის დამკვიდრებას საპარლამენტო ცხოვრებაში.¹¹⁷ სამთავრობო საათის დანიშნულებაა იმ პერიოდისთვის მნიშვნელოვანი, აქტუალური საკითხების გარშემო მსჯელობა და შესაბამისი მინისტრისგან პასუხების მოსმენა.¹¹⁸ შეკითხვის დასმის უფლება ასეთ დროს აქვს 1 დეპუტატს, ფრაქციას ან დეპუტატთა ვიწრო ჯგუფს¹¹⁹ და მას პასუხი მალევე უნდა გაეცეს.¹²⁰ ამ მექანიზმის დანერგვა საქართველოს პარლამენტში განტვირთავს ინტერპელაციის მექანიზმს და მის ფარგლებში გამოკვეთილი აქტუალური კითხვების ახალ ფორმატში განხილვის შესაძლებლობას შექმნის. ამის გარდა, სამთავრობო საათი შეავსებს ვაკუუმს ზედამხედველობის ნაწილში აღმასრულებელი ხელისუფლების და ანგარიშვალდებული პირების პასუხებით მიმდინარე მოვლენებით.

¹¹⁵ საუბარია ალექო ელისაშვილის ცემაზე სპეცრაზმის მხრიდან. იხ. „პოლიცია ფიზიკურად გამისწორდა, ნეკნი მაქვს მოტეხილი“ - ალექო ელისაშვილი, „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/718590/>, განახლებულია: 10.12.24. ასევე, დეპუტატმა იკითხა რუსული კანონის წინააღმდეგ აქციებზე დაშავებული პირების გამო მინისტრის პასუხისმგებლობაზე.

¹¹⁶ საუბარია 2024 წლის გაზაფხულზე გამართულ აქციებზე რუსული კანონის წინააღმდეგ.

¹¹⁷ ვ. მენაბდე, გ. ალავერდაშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 28-31. ასევე, იხილეთ ამავე კვლევის პირველ ნაწილში, გვ. 22-23.

¹¹⁸ იქვე, 28.

¹¹⁹ იქვე, 29-30.

¹²⁰ იქვე, 30-31.

ნებთან დაკავშირებით, როდესაც პარლამენტს ინფორმაცია მყისიერად სჭირდება. ეს არ გადატვირთავს არც ინტერპელაციის და არც მინისტრის საათის პროცედურას არათემატური კითხვებით და ხელს შეუწყობს ამ მექანიზმების ფარგლებში განსახილველი საკითხების სიღრმისეულ განხილვას.

4.4.3. ინტერპელაციის ბმა უნდობლობის პროცედურასთან

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ინტერპელაციაზე თანამდებობის პირის პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.¹²¹ რეგლამენტი კი პროცედურის დასრულების შემდგომ დადგენილების მიღებას ითვალისწინებს,¹²² თუმცა ცხადად არ განსაზღვრავს, რა შეიძლება ეწეროს ამ დადგენილებაში. ის გამოხატავს პარლამენტის დამოკიდებულებას ინტერპელაციის ადრესატის პასუხებისადმი. ამასთანავე, ინტერპელაციის მკაფიო ბმას უნდობლობის პროცედურასთან არც ძირითადი კანონი და არც რეგლამენტი არ ითვალისწინებს. თუმცა, ეს უცხო არ არის ევროპული სახელმწიფოებისთვის.¹²³

მართალია, საქართველოში, კონსტიტუციის დონეზე, ინტერპელაციისას მიღებული პასუხი შეიძლება გახდეს დებატების საგანი, თუმცა, რამდენად მოიცავს ეს საკითხის გადაზრდას უნდობლობის პროცედურაში, განმარტების საგანია. რეგლამენტიც არ გამოირჩევა უფრო ნათელი ნორმებით. ისიც დადგენილების მიღებას ითვალისწინებს, თუმცა არა სავალდებულო ფორმით, არამედ პარლამენტის სურვილის შემთხვევაში.¹²⁴ მნიშვნელოვანია, საქართველოს ძირითადმა კანონმა გაიზიაროს ევროპული გამოცდილება და დაამკვიდროს ინტერპელაციის უნდობლობის მექანიზმთან ბმის შესაძლებლობა. სასურველია, დადგენილების მიღება დაუკავშირდეს ე.წ. გაკიცხვის რეზოლუციას, რაც უნდობლობის პროცედურის დაწყების საფუძველი გახდება.

2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე ინტერპელაციების დასრულების შემდგომ პარლამენტს დადგენილება არ მიუღია.¹²⁵ არც 2023 წლის საგაზაფხულო და სამემოდგომო¹²⁶ და 2024 წლის საგაზაფხულო¹²⁷ სესიებზე არ მიუღია პარლამენტს შესაბამისი დადგენილება.

პარლამენტს უნდობლობის გამოცხადების თაობაზე დადგენილება არ მიუღია 2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე.¹²⁸ ეს საკითხი დღის წესრიგში არც 2023 წლის საგაზაფხულო, სამემოდგომო¹²⁹ და არც 2024 წლის საგაზაფხულო¹³⁰ სესიებზე არ დამდგარა.

საქართველოში დამკვიდრებულია მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი. თუმცა, კონსტიტუციის წინა რედაქციები ითვალისწინებდა პარლამენტის მხრიდან პრემიერ-მინისტრის წინაშე ინდივიდუალური მინისტრის პასუხის-

¹²¹ საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

¹²³ ვ. მენაბდე, გ. ალავერდიაშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 39.

¹²⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

¹²⁵ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 7 ნოემბრის №10651/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹²⁶ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹²⁷ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹²⁸ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 25 ოქტომბრის №10099/2-7/22 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹²⁹ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹³⁰ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

მგებლობის საკითხის დაყენების შესაძლებლობას.¹³¹ ამასთანავე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში პრემიერ-მინისტრი ვალდებული იყო, პარლამენტისთვის წარედგინა მოტივირებული გადაწყვეტილება, თუ მინისტრს თანამდებობიდან არ გაათავისუფლებდა.¹³² შემდგომი ცვლილებებით, ეს ვალდებულება გაქრა, თუმცა პარლამენტს შენარჩუნებული ჰქონდა მინისტრის პასუხისმგებლობის დაყენების უფლება.¹³³

საიას მიერ ჩატარებული შედარებითი კვლევით გამოიკვეთა, რომ ევროპის არაერთ სახელმწიფოში, სადაც დამკვიდრებულია ნახევრად-საპრეზიდენტო და საპარლამენტო მოდელები¹³⁴ (მაგალითად, ხორვატიაში, სლოვაკეთში, ესტონეთში, ლატვიასა და საბერძნეთში), საკანონმდებლო ორგანო უფლებამოსილია, ინდივიდუალურად გამოუცხადოს უნდობლობა მთავრობის კონკრეტულ წევრს.¹³⁵ საქართველოშიც მსგავსი მექანიზმის შემოღებამ, შესაძლოა, ცალკეული არასასურველი მინისტრების მარტივად გადაყენების გზა გააჩინოს, როცა, ზოგადად, მთავრობა პარლამენტისთვის მისაღებია.

4.5. დროებითი კომისია

მე-10 მოწვევის პარლამენტის 2021 და 2022 წლების მსგავსად,¹³⁶ არც 2023 წლის საგაზაფხულო¹³⁷ და საშემოდგომო¹³⁸ სესიებზე დარეგისტრირებულა დროებითი კომისიის შექმნის დადგენილება. მსგავსი სიტუაცია იყო 2024 წლის საგაზაფხულო¹³⁹ და საშემოდგომო¹⁴⁰ სესიებზეც.

4.6. დროებითი საგამოძიებო კომისია

2023 საგაზაფხულო სესია

საქართველოს პარლამენტში 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე დარეგისტრირდა 3 დადგენილება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე. პირველი შეხებოდა ორგანიზებული დანაშაულებრივი ქრუფების მიერ თაღლითური „ქოლცენტრების“ მეშვეობით ჩადენილი ტრანსნაციონალური დანაშაულებისა და მათზე შესაძლო არასათანადო რეაგირების შესწავლას,¹⁴¹ მეორე - 2020 წელს, საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინ, საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ფიზიკურ პირებზე საკუთრებაში გადაცემის და შემდგომ ამ რეგისტრაციის

¹³¹ საქართველოს კონსტიტუციის 2004 წლის 6 თებერვლისა და 2010 წლის 15 ოქტომბრის რედაქციები, 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹³² საქართველოს კონსტიტუციის 2004 წლის 6 თებერვლის რედაქცია, 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹³³ საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის 15 ოქტომბრის რედაქცია, 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹³⁴ კაპანაძე, ნ. „მინისტრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, როგორც საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022, 5-9.

¹³⁵ იქვე.

¹³⁶ ვ. მენაბდე, გ. ალავერდაშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 47.

¹³⁷ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹³⁸ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹³⁹ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁴⁰ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია:

<https://info.parliament.ge/#law-drafting>, განახლებულია: 12.12.24.

¹⁴¹ დადგენილება №07-3/314, 26.04.2023, საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

გამო დაწყებული გამოძიების შედეგების შესწავლას,¹⁴² შესამე კი - „მოვში მომხდარი სტიქიური მოვლენების გამომწვევი მიზეზების, მასზე რეაგირების, ცალკეული სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირთა ქმედებების კანონიერების შესწავლას.¹⁴³ პირველი კომისიის შექმნასთან დაკავშირებით სხდომაზე რეგისტრაცია არ გაიარა „ქართულმა ოცნებამ“ და ხელოვნურად შექმნა ბარიერი იმისთვის, სომ საკითხი კენჭისყრაზე არ დამდგარიყო.¹⁴⁴ მეორე შემთხვევაში რეგისტრაციის გავლის პრობლემა არ იყო, უბრალოდ, საკმარისი ხმები ვერ მოგროვდა.¹⁴⁵ შესამე შემთხვევაში კი საგამოძიებო კომისიის შექმნის მსურველმა სუბიექტმა გადადო დღის წესრიგში მისი დაყენება.¹⁴⁶ დასახელებული საგამოძიებო კომისიებიდან, საბოლოოდ, არცერთი არ შექმნილა.¹⁴⁷

2023 წლის საშემოდგომო სესია

2023 წლის საშემოდგომო სესიაზე საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიების შექმნაზე მოთხოვნა არ ყოფილა.¹⁴⁸

2024 წლის საგაზაფხულო სესია

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე ოპოზიციონერმა დეპუტატებმა¹⁴⁹ წარადგინეს მოთხოვნა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში სავარაუდო უკანონო გამდიდრებისა და კორუფციული დანაშაულების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე.¹⁵⁰ თუმცა, ამასთან დაკავშირებით პარლამენტს გადაწყვეტილება არ მიუღია.¹⁵¹

¹⁴² დადგენილება №2-8220/23, 25.05.2023, საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁴³ დადგენილება №07-3/346, 21.08.2023, საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁴⁴ „ოცნებამ“ ქოლ-ცენტრებზე საგამოძიებო კომისიის შექმნასაც ხელი შეუშალა, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/670518/>, განახლებულია: 12.12.24.

¹⁴⁵ კენჭისყრის შედეგები, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/334786>, განახლებულია: 12.12.24.

¹⁴⁶ შოვის სტიქიის საკითხზე საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ოქტომბრისთვის გადადო, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32579046.html>, განახლებულია: 12.12.24.

¹⁴⁷ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁴⁸ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁴⁹ ესენი იყვნენ: თამარ კორძაია, ქეთევან თურაზაშვილი, თეონა აქუბარდია, ხატია დეკანოიძე, ანა ბურჯური, ბექა ლილუაშვილი, შალვა კერესელიძე, მიხეილ დაუშვილი, რომან გოცირიძე, ტარიელ ნაკაიძე, დავით უსუფაშვილი, შალვა შავგულიძე, ალექსანდრე ელისაშვილი, თამარ ჩარკვიანი, ლევან საბუნიშვილი, კახაბერ ოქრიაშვილი, დევი ჭანკოტაძე, აკაკი მინაშვილი, თინათინ ბოკუჩავა, ლევან ბეჟაშვილი, აბდულა ისმაილოვი, რამაზ ნიკოლაიშვილი, დავით კირკიტაძე, გიორგი ბოტკოველი, ეკატერინე ხერხეულიძე, გიორგი გოდაბრელიძე, დავით საჯიშვილი, სულხან სიბაშვილი, ანი წითლიძე, თეიმურაზ ჯანაშია, გუბაზ სანიკიძე, კობა ნაყოფია, პაატა მანჯგალაძე, არმაზ ახვლედიანი და ანა ნაცვლიშვილი.

¹⁵⁰ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ ინიციატივა, იხ. საქართველო პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/28390>, განახლებულია: 22.11.24.

¹⁵¹ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

V. პარლამენტის წევრის კითხვა

2023 წელი

2023 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის 42-მა წევრმა გაგზავნა 3001 წერილობითი კითხვა. აქედან, პასუხი 2212-ს გაეცა, ხოლო 789 მათგანზე ჯერ წარმოდგენილი არ არის.¹⁵² აღსანიშნავია, რომ 2023 წელს პასუხგაუცემელი კითხვების აბსოლუტური უმრავლესობის ავტორები ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ.

2023 წელს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე პასუხისმგებელი ორგანოების მიმართ სულ 140 კითხვა დაისვა. აქედან, 138-ის ავტორი იყო ოპოზიცია, ხოლო 2-ის უმრავლესობა. ოპოზიციის მიერ დასმული კითხვებიდან 93 შეეხებოდა უსაფრთხოების თემატიკას. აქედან, დროულად გაეცა პასუხი 52 მათგანს, დაგვიანებით - 25-ს, უპასუხოდ დარჩა 16. უმრავლესობის წევრების მიერ დასმული კითხვები არ ეხებოდა უსაფრთხოების თემატიკას. ამ თემაზე დასმული კითხვებიდან პასუხებს 47 შემთხვევაში შესაბამისი პირი აწერდა ხელს, ხოლო 28 შემთხვევაში - სხვა.

ჯამში, დასმული კითხვებიდან 68-ს პასუხი დროულად გაეცა, 48-ს - დაგვიანებით, ხოლო 24 უპასუხოდ დარჩა. 68 კითხვაზე პასუხებს შესაბამისი პირი აწერდა ხელს, ხოლო 46-ზე - სხვა პირი.

2024 წელი

2024 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის 30-მა წევრმა გაგზავნა 742 წერილობითი კითხვა. აქედან, პასუხი გაეცა 602-ს, ხოლო 140-ზე პასუხი ჯერ წარმოდგენილი არ არის.¹⁵³ აღსანიშნავია, რომ გაგზავნილი კითხვების 97% ოპოზიციას ეკუთვნის, პასუხგაუცემელი კითხვების აბსოლუტური უმრავლესობის ავტორებიც ოპოზიციის წარმომადგენლები არიან.

2024 წელს¹⁵⁴ თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე პასუხისმგებელი ორგანოების მიმართ სულ 45 კითხვა დაისვა. ამასთანავე, 31 მათგანი არ ეხებოდა უსაფრთხოების თემატიკას. დასმული კითხვებიდან 1-ის ავტორი იყო უმრავლესობის წევრი, ხოლო 44-ის - ოპოზიცია. გაგზავნილი კითხვებიდან, რეგლამენტით დადგენილ ვადაში პასუხი დროულად გაეცა 26-ს, დაგვიანებით - 12-ს, ხოლო უპასუხოდ დარჩა 7 კითხვა. პასუხგაუცემელი კითხვებიდან 37-ს ხელს აწერს შესაბამისი ადრესატი ან ადრესატი ორგანოს ხელმძღვანელი პირი, ხოლო 1 შემთხვევაში - სხვა პირი (რომელიც არ არის შესაბამისი ადრესატი ან ადრესატი ორგანოს ხელმძღვანელი პირი).

¹⁵² საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია. საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁵³ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, სადეპუტატო კითხვები, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#mpqs>, განახლებულია: 24.12.24.

¹⁵⁴ 17 სექტემბრის მდგომარეობით.

VI. საკომიტეტო კონტროლის მექანიზმები

6.1. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

2023 წლის საგაზაფხულო სესია

საანგარიშო პერიოდში მხოლოდ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა გამოითხოვა ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებიდან 6 შემთხვევაში.¹⁵⁵ კონკრეტულად, საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან მოითხოვა 5-ჯერ (გაგზავნის თარიღები: 29.03.2023, 09.06.2023, 20.06.2023, 24.07.2023 - 2-ჯერ), ხოლო საქართველოს მთავრობის პოზიცია კომიტეტში განსახილველად წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებაზე გამოითხოვა ერთხელ (გაგზავნის თარიღი 19.07.2023).¹⁵⁶ ამ მოთხოვნებზე კომიტეტმა პასუხები მიიღო წერილობითი ფორმით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.¹⁵⁷ პარლამენტის სხვა კომიტეტებს ეს უფლებამოსილება არ გამოუყენებიათ.¹⁵⁸

2023 წლის საშემოდგომო სესია

2023 წლის საშემოდგომო სესიაზე კომიტეტებს ეს უფლებამოსილება არ გამოუყენებიათ.¹⁵⁹

2024 წლის საგაზაფხულო სესია

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე კომიტეტებს ეს უფლებამოსილება არ გამოუყენებიათ.¹⁶⁰

6.2. კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება

6.2.1. კომიტეტის უმრავლესობის მიერ თანამდებობის პირის დაბარება

2023 წლის საგაზაფხულო სესია

არცერთ კომიტეტს საკუთარ სხდომაზე, დამსწრეთა უმრავლესობით, თანამდებობის პირი არ დაუბარებია.¹⁶¹

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის სხდომაზე არც პრემიერ-მინისტრი, არც გენერალური პროკურორი და არც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი არ დაუბარებიათ.¹⁶²

¹⁵⁵ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁵⁶ იქვე.

¹⁵⁷ იქვე.

¹⁵⁸ იქვე.

¹⁵⁹ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁶⁰ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁶¹ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁶² იქვე.

2024 წლის საგაზაფხულო სესია

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე კომიტეტებს საკუთარ სხდომაზე, დამსწრეთა უმრავლესობით, თანამდებობის პირი არ დაუბარებიათ.¹⁶³ გარდა ამისა, კომიტეტის სხდომაზე არ დაუბარებიათ არც პრემიერ-მინისტრი, არც გენერალური პროკურორი და არც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.¹⁶⁴

ეს უფლებამოსილებები 2019-20 წლებში მხოლოდ 5-ჯერ გამოიყენეს,¹⁶⁵ ხოლო 2021-22 წლებში - 4-ჯერ.¹⁶⁶ რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის, გენერალური პროკურორისა და სუს-ის უფროსის დაბარებას, ეს საერთოდ არ დამდგარა დღის წესრიგში.¹⁶⁷ ამასთანავე, 2023 წელს საიამ საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა პარლამენტს რეგლამენტში გარკვეული ცვლილებების თაობაზე, მათ შორის, საკომიტეტო კონტროლის ნაწილშიც.¹⁶⁸ მასზე დეკლარაციულად იმსჯელა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა, რის შემდეგაც ინიციატივა უარყო.¹⁶⁹ ხაზგასასმელია, რომ საიამ წინადადება პარლამენტს 2023 წლის მაისში წარუდგინა, ხოლო კომიტეტმა იგი იმავე წლის ოქტომბერში განიხილა. 5-თვიანი დაგვიანებით საკითხის განხილვა მეტყველებს საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობაზე თავად პარლამენტისთვის.

6.2.2. კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება ფრაქციის მიერ

2023 წლის საგაზაფხულო სესია

2023 წლის 3 აპრილს პოლიტიკურმა ჯგუფმა „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს მიმართა მოთხოვნით, სხდომაზე მოეწვია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. ამ მოთხოვნის საფუძველზე, კომიტეტმა 19 აპრილის სხდომაზე მოისმინა მინისტრის პასუხები პოლიტიკური ჯგუფის მიერ დასმულ კითხვებზე.

„რეფორმების ჯგუფის“ 2023 წლის 30 მარტის მოთხოვნის თანახმად, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე მოიწვიეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელსაც მოთხოვნა რეგლამენტით დადგენილ ვადაში გაეგზავნა. ამავე კომიტეტის სხდომაზე, „რეფორმების ჯგუფის“ და „საქართველოსთვის“ 2023 წლის 22 ივნისის მოთხოვნის საფუძველზე, მოიწვიეს თავდაცვის მინისტრი. თუმცა, ეს უკანასკნელი პარლამენტის სამემოდგომო სესიის

¹⁶³ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁶⁴ იქვე.

¹⁶⁵ ვ. მენაბდე, გ. ალავერდაშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 49.

¹⁶⁶ გ. ალავერდაშვილი, ნ. კაპანაძე, „საპარლამენტო კონტროლი მეათე მოწვევის პარლამენტში: პირველი ნაწილი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023, 55.

¹⁶⁷ ვ. მენაბდე, გ. ალავერდაშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 49. გ. ალავერდაშვილი, ნ. კაპანაძე, „საპარლამენტო კონტროლი მეათე მოწვევის პარლამენტში: პირველი ნაწილი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023, 55.

¹⁶⁸ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (ნონა ქურდოვანიძე) მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/legislation/26401>, განახლებულია: 12.12.24.

¹⁶⁹ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის №2-16206/23 წერილი პარლამენტის ბიუროს, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/341926>, განახლებულია: 12.12.24.

ფარგლებში გამოცხადდა კომიტეტის სხდომაზე, რაც ქვემოთ, შესაბამის ქვეთავშია მოცემული. მოწვეულმა თანამდებობის პირებმა წარმოადგინეს ინფორმაცია კომიტეტის სხდომაზე დაუსწრებლობის მიზეზების თაობაზე.¹⁷⁰ უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ქმედებები არის კონსტიტუციის დარღვევა.¹⁷¹ ეს კი, თავის მხრივ, ამ მინისტრების წინააღმდეგ იმპიჩმენტის დაწყების საფუძველია. თუ დაბარებული თანამდებობის პირი ვერ ახერხებს სხდომაზე გამოცხადებას, ამისთვის არსებობს მექანიზმი, რომლითაც, მოწვევის ინიციატორსა და მოსაწვევ პირს შორის შეთანხმების საფუძველზე, ახალი თარიღის განსაზღვრაა შესაძლებელი.¹⁷²

2023 წლის საშემოდგომო სესია

2023 წლის 31 ოქტომბერს საპარლამენტო პოლიტიკურმა ჯგუფმა „ევროოპტიმისტები“ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოწვევის მოთხოვნით მიმართა.¹⁷³ შედეგად, 2023 წლის 18 დეკემბერს გაიმართა მინისტრის მოსმენა.¹⁷⁴

როგორც ზემოთ ქვეთავშია მოცემული, „რეფორმებისა ჯგუფისა“ და „საქართველოსთვის“ 2023 წლის 22 ივნისის მოთხოვნის საფუძველზე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე მოიწვიეს თავდაცვის მინისტრი.¹⁷⁵ ამ მოთხოვნის საფუძველზე, 2023 წლის 4 ოქტომბერს გაიმართა მინისტრის მოსმენა.¹⁷⁶

რეკომენდებულია, მინისტრი დაბარებიდან გონივრულ ვადაში გამოცხადდეს კომიტეტის სხდომაზე, რათა იმ დროისთვის აქტუალურ საკითხზე დეპუტატებმა პასუხი დროულად მიიღონ.

2024 წლის საგაზაფხულო სესია

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე ფრაქციებს ეს უფლებამოსილება არ გამოუყენებიათ.¹⁷⁷

6.3. კომიტეტის თემატური მომხსენებელი

6.3.1. კომიტეტის სამოქმედო გეგმები და თემატურ მომხსენებლად დანიშვნა

2023 და 2024 წლებში ყველა კომიტეტმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა,¹⁷⁸ რომლის სტრუქტურასა და მიმართულებებზე კვლევის პირველ ნაწილში უკვე წარმოდგენილია საიას შეფასებები. შესაბამისად, მეორე ნაწილში აღარ იქნება მასზე მსჯელობა, ვინაიდან 2023 და 2024 წლებში კომიტეტებს მიდგომა არ შეუცვლიათ. აღსანიშნავია, რომ პარლამენტში შექმნილ ნდობის ჯგუფსაც აქვს სამოქმედო გეგმა,

¹⁷⁰ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁷¹ კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁷² პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁷³ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁷⁴ იქვე.

¹⁷⁵ იქვე.

¹⁷⁶ იქვე.

¹⁷⁷ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁷⁸ იხ. ცხრილები №1 და №4.

რომელსაც საიდუმლო გრიფი აქვს მინიჭებული.¹⁷⁹ ამის გამო, ამ კვლევაში ნდობის ჯგუფის სამოქმედო გეგმა შესწავლილი და განხილული არ არის.

კომიტეტის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ყოველწლიურად განისაზღვრება თემატური მომხსენებლის სამუშაო სფერო/სფეროები ან მიმართულება/მიმართულებები. თითოეულ სფეროზე უმრავლესობიდან 1 წევრი სავალდებულოდ ინიშნება, ხოლო ოპოზიციას, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია, დანიშნოს იმავე საკითხზე მომხსენებელი საკუთარი რიგებიდან.¹⁸⁰ თუ კონკრეტული თემის დამუშავება არცერთმა დეპუტატმა არ მოინდომა, კომიტეტის თავმჯდომარე სავალდებულო წესით დანიშნავს 1 პირს საკუთარი შეხედულებისამებრ.¹⁸¹ ასევე, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ერთსა და იმავე სფეროზე შეიძლება დაინიშნოს 2-ზე მეტი მომხსენებელი.¹⁸²

2023 წლის სამოქმედო გეგმები

2023 წელს ყველა კომიტეტმა დანიშნა თემატური მომხსენებელი,¹⁸³ ჯამში, 92 დეპუტატი. აქედან, 73 - უმრავლესობის, ხოლო 19 ოპოზიციის წარმომადგენელია. კომიტეტების სამოქმედო გეგმებით 895 საკითხია გათვალისწინებული. აქედან, 594 საკითხზე მომხსენებლებად კომიტეტის თავმჯდომარეები (სულ 14) განისაზღვრენ,¹⁸⁴ ხოლო 285-ზე - მათი პირველი მოადგილეები (სულ 13).

2024 წლის სამოქმედო გეგმები

2024 წელს ყველა კომიტეტმა დანიშნა თემატური მომხსენებელი,¹⁸⁵ ჯამში, 90 დეპუტატი. აქედან, 73 - უმრავლესობის, ხოლო 17 ოპოზიციის წარმომადგენელია. კომიტეტების სამოქმედო გეგმებით 717 საკითხია გათვალისწინებული. აქედან 493 საკითხზე მომხსენებლები არიან კომიტეტის თავმჯდომარეები (სულ 13), ხოლო 222-ზე - მათი პირველი მოადგილეები (სულ 13).¹⁸⁶

ასეთი მიდგომით დეფორმირდება ინსტიტუტის რეალური დანიშნულება - დეპუტატებს შორის შრომის განაწილება.¹⁸⁷ ამიტომ **მიმართულებები თანაბრად უნდა გადანაწილდეს კომიტეტის წევრებს შორის.**

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს 8 შემთხვევაში დატოვეს დეპუტატებმა პარლამენტის წევრობა და ასევე 8-ჯერ - კომიტეტის წევრობა. არცერთ შემთხვევაში სამოქმედო გეგმები არ განახლებულა. 2024 წელს პარლამენტის წევრობა დატოვეს 3 შემთხვევაში, ხოლო კომიტეტის წევრობა - 1-ში. **რეკომენდებულია, რომ ასეთ დროს სამოქმედო გეგმაში შესაბამისი ცვლილებები აისახოს.**

6.3.2. თემატური მომხსენებლის ვინაობა

2023 წლის სამოქმედო გეგმები

თემატურ მომხსენებლად შესაბამისი კომიტეტის წევრი ინიშნება. სამოქმედო გეგმაში ზუსტად უნდა ჩაიწეროს იმ დეპუტატის სახელი და გვარი, რომელიც კონკრე-

¹⁷⁹ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო გეგმა, 11.

¹⁸⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁸¹ იქვე, 45-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁸² იქვე, 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁸³ იხ. ცხრილი №1.

¹⁸⁴ იქვე.

¹⁸⁵ იხ. ცხრილი №4.

¹⁸⁶ იქვე.

¹⁸⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ტულ მიმართულებაზე პასუხისმგებელი. 2023 წლის სამოქმედო გეგმებიდან 6-ში მომხსენებლებად განსაზღვრულნი იყვნენ „კომიტეტის წევრები“.¹⁸⁸ ასეთი ზოგადი ჩანაწერი შეუძლებელს ხდის, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი თემატური მომხსენებლის იდენტიფიცირებას.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში 5 მომხსენებელი იყო უმრავლესობიდან, ხოლო 1 - ოპოზიციიდან.¹⁸⁹ უმრავლესობის 5 მომხსენებელიდან 2-მა მარტში დატოვა კომიტეტის წევრობა.¹⁹⁰ შესაბამისად, მათ მიერ არჩეული თემატიკა, რომელიც, ჯამში, 31 საკითხს მოიცავდა,¹⁹¹ დაუმუშავებელი დარჩა.

2024 წლის სამოქმედო გეგმები

2024 წლის სამოქმედო გეგმებიდან 5-ში მომხსენებლებად განსაზღვრულნი იყვნენ, ზოგადად, „კომიტეტის წევრები“,¹⁹² 3 შემთხვევაში კი - აგრეთვე, კომიტეტის აპარატის თანამშრომლები.¹⁹³

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში უმრავლესობიდან იყო 4 მომხსენებელი, ხოლო ოპოზიციიდან - 1.¹⁹⁴ კომიტეტის თავმჯდომარემ პარლამენტის წევრობა დატოვა აპრილში, შესაბამისად, მის მიერ აღებული 27 საკითხი დაუმუშავებელი დარჩა.¹⁹⁵

ზემოთ განხილული შემთხვევები განეკუთვნება თემატური მომხსენებლის არსის არასწორ გაგებას. ამიტომ, აუცილებელია, თემატურ მომხსენებლად დაინიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი, სახელისა და გვარის მითითებით, და არა - იურიდიული წარმონაქმნი ან ზოგადი ტერმინებით აღნიშნული სუბიექტი.

მნიშვნელოვანია, როცა დეპუტატები ტოვებენ კომიტეტს ან პარლამენტს, მათ მიერ აღებული საკითხები გადანაწილდეს დარჩენილ ან კომიტეტში შესულ ახალ წევრებზე. რეგლამენტში უნდა გაჩნდეს ჩანაწერი, რომელიც კომიტეტს დაავალდებულებს ამის გაკეთებას წევრთა ცვლილებიდან მალევე, გონივრულ დროში.

6.3.3. თემატური მომხსენებლის ანგარიშგება

2023 წლის სამოქმედო გეგმები

თემატურ მომხსენებლებს მათთვის განსაზღვრულ საკითხებზე გაწეული სამუშაოს შესახებ კომიტეტის წინაშე უნდა წარედგინათ ანგარიში.¹⁹⁶ 2023 წლის განმავლობაში 4-მა მომხსენებელმა ოთხ სხვადასხვა კომიტეტში წარადგინა მოხსენება.¹⁹⁷ მათ შორის არ ყოფილან თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრები.

¹⁸⁸ იხ. ცხრილი №1.

¹⁸⁹ იქვე.

¹⁹⁰ იქვე.

¹⁹¹ იქვე.

¹⁹² იხ. ცხრილი №4.

¹⁹³ იქვე.

¹⁹⁴ იქვე.

¹⁹⁵ იქვე.

¹⁹⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 45-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁹⁷ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია და საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

2024 წლის სამოქმედო გეგმები

2024 წლის საგაზაფხულო სესიის მდგომარეობით, 4 სხვადასხვა კომიტეტში 4-მა მომხსენებელმა წარადგინა ანგარიში.¹⁹⁸ მათ შორის არ ყოფილან თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრები.

რეკომენდებულია, რომ მომხსენებლებმა მათზე დაკისრებული ვალდებულება ჯეროვნად შეასრულონ და კომიტეტებს შესაბამისი მოხსენება წარუდგინონ.

6.4. თემატური მოკვლევა

6.4.1. თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნა

2023 წლის საგაზაფხულო სესია

2023 წლის საგაზაფხულო სესიის ფარგლებში პარლამენტში 9 თემატური მოკვლევის ჯგუფი შეიქმნა.¹⁹⁹ რეგლამენტის მიხედვით, ჯგუფის შექმნის უფლებამოსილება აქვს როგორც კომიტეტს, ისე პარლამენტში არსებულ მუდმივმოქმედ საბჭოს.²⁰⁰ ამჯერად ყველა ჯგუფი შეიქმნა კომიტეტების მიერ.²⁰¹ თითოეულ შემთხვევაში, შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნის თაობაზე.²⁰²

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა შექმნა თემატური მოკვლევის ჯგუფები შემდეგ საკითხებზე: აღრუელი და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გასვლენა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე; მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მათი სოციალური, ემოციური მდგომარეობის გავლენის შეფასება და არსებული მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობა; საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური და სკოლის ექიმების ნორმების დაცვის პრაქტიკა და არსებული გამოწვევები; საქართველოს რეგიონებში მდებარე საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე არსებული გამოწვევების განსაზღვრა და მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავება; პროფესიულ განათლებაში შრომის ბაზართან თავსებადი პრიორიტეტების იდენტიფიცირება და დაფინანსების მოდელის ანალიზი. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა შექმნა თემატური მოკვლევის ჯგუფი ინოვაციების ხელშემწყობი ინსტრუმენტების განვითარების საკანონმდებლო ჩარჩოსთან დაკავშირებით. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტში შეიქმნა ჯგუფი თემაზე: დიასპორის ჩართულობა საქართველოს განვითარებისთვის: დიასპორის მდგრადი კაპიტალის მოზიდვა. სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტში შექმნეს ჯგუფი შემდეგ საკითხზე: ლატარიების, აზარტულ და მომგებიან თამაშობებზე მოზარდებისა და ახალგაზრდების დამოკიდებულების პრევენცია და გამოჯანმრთელების პოლიტიკა, გამოწვევები და მოგვარების პერსპექტივები. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა შექმნა ჯგუფი საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და არსებული გამოწვევების თაობაზე.

¹⁹⁸ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁹⁹ ცხრილი №2.

²⁰⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის პირველი პუნქტი.

²⁰¹ ცხრილი №2.

²⁰² საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

2023 წლის საშემოდგომო სესია

2023 წლის საშემოდგომო სესიის ფარგლებში, პარლამენტში თემატური მოკვლევის 4 ჯგუფი შეიქმნა.²⁰³ ყველა მათგანი ჩამოაყალიბეს კომიტეტებმა, შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე.²⁰⁴

ამ სესიის ფარგლებში აგრარულ საკითხთა კომიტეტმა შექმნა ჯგუფი თემაზე: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა აგრარულ დარგში (კერძო ფინანსური ინსტიტუტების ქრილში); განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა ამჯერად შექმნა 1 ჯგუფი თემაზე: სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში; კულტურის კომიტეტში შეიქმნა ჯგუფი თემაზე: შუზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ინკლუზია სახელოვნებო განათლების სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში კი - თემაზე: საქართველოში ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და არსებული გამოწვევები.

2024 წლის საგაზაფხულო სესია

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე ორი თემატური მოკვლევის ჯგუფი შეიქმნა,²⁰⁵ ორივე მათგანი - კომიტეტების მიერ.²⁰⁶ აქედან, ერთი ჩამოაყალიბდა სამი კომიტეტის მიერ, გაერთიანებულ სხდომაზე.²⁰⁷ ერთობლივი ჯგუფი შექმნეს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა და კულტურის კომიტეტებმა თემაზე: საზღვარგარეთ მოქმედი ქართული საკვირაო სკოლების (მათ შორის, სახელოვნებო განათლების მიმართულებით) და ანსამბლების საქმიანობის გაძლიერება. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა შექმნა ჯგუფი თემაზე: დეცენტრალიზაციის როლი და გამოწვევები მუნიციპალიტეტების თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი ამ მექანიზმს არ იყენებს. მე-10 მოწვევის პარლამენტში ერთხელაც კი არ შეუქმნია თემატური მოკვლევის ჯგუფი.²⁰⁸ მე-9 მოწვევის პარლამენტში კი მხოლოდ 1 ჯგუფი შეიქმნა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტთან ერთად.²⁰⁹

6.4.2. ჯგუფის დაკომპლექტების პრინციპი

წლებია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პარლამენტს მოუწოდებს, თემატური მოკვლევის ჯგუფის დაკომპლექტებისას გამოიყენოს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი.²¹⁰ ამის მიუხედავად, რეგლამენტში შესაბამისი ჩანაწერი არ გაჩნდა.

²⁰³ ცხრილი №2.

²⁰⁴ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁰⁵ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁰⁶ იქვე.

²⁰⁷ იქვე.

²⁰⁸ 2021-22 წლების შესახებ იხ. გ. ალავერდამვილი, ნ. კაპანაძე, „საპარლამენტო კონტროლი მეთექვსმეტე პარლამენტში: პირველი ნაწილი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023, 68-71.

²⁰⁹ ვ. მენაბდე, გ. ალავერდამვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 157.

²¹⁰ იქვე, 70.

2023 წლის საგაზაფხულო სესია

2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე ეს პრინციპი დარღვეულია.²¹¹ მხოლოდ ერთმა ჯგუფმა მოახერხა, მიახლოებით აერეკლა პარლამენტში არსებულ ძალთა პროპორციული წარმომადგენლობა.²¹² შესაბამისად, ძალაშია საიას რეკომენდაცია, ჯგუფები დაკომპლექტდნენ დასახელებული პრინციპის საფუძველზე.

2023 წლის საშემოდგომო სესია

2023 წლის საშემოდგომო სესიაზეც დაირღვა დასახელებული პრინციპი.²¹³ ამ სესიაზე შექმნილი ჯგუფებიდან მხოლოდ ერთში იყო დაცული მიახლოებითი პროპორცია.²¹⁴

2024 წლის საგაზაფხულო სესია

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე ჯგუფების შექმნისას არ იყო გათვალისწინებული დასახელებული პრინციპი.²¹⁵

6.4.3. ჯგუფის წევრთა რაოდენობა

2023 წლის საგაზაფხულო სესია

რეგლამენტი არ განსაზღვრავს თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრთა რაოდენობას. 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე შეიქმნა ორი 4-წევრიანი, ორი 2-წევრიანი, სამი 3-წევრიანი და თითო 6 და 9 წევრიანი ჯგუფები.²¹⁶

თემატური მოკვლევის ჯგუფი მოქნილი უნდა იყოს, რათა კომიტეტს თუ მუდმივმოქმედ საბჭოს დროულად მიაწოდოს პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით დამუშავებული ექსპერტული პოზიციები. მისასალმებელია, რომ მე-10 მოწვევის პარლამენტში იგრძნობა მცირე ჯგუფების შექმნის ტენდენცია. რეკომენდებულია თე-

²¹¹ იხ. ცხრილი №3.

²¹² იქვე. ეს იყო დარღობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში შექმნილი ჯგუფი ინოვაციების ხელშეწყობი ინსტრუმენტების განვითარების საკანონმდებლო ჩარჩოსთან დაკავშირებით.

²¹³ იქვე.

²¹⁴ იქვე. ეს იყო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში შექმნილი ჯგუფი საქართველოში ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და არსებული გამოწვევების თაობაზე. რეკომენდებულია, თემატური მოკვლევის ჯგუფები დაკომპლექტდნენ ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით.

²¹⁵ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²¹⁶ იხ. ცხრილი №3. 4-წევრიანი ჯგუფები: ინოვაციების ხელშეწყობი ინსტრუმენტების განვითარების საკანონმდებლო ჩარჩო; საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური და სკოლის ექიმების ნორმების დაცვის პრაქტიკა და არსებული გამოწვევები. 2-წევრიანი ჯგუფები: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე; პროფესიულ განათლებაში შრომის ბაზართან თავსებადი პერიორიტეტების იდენტიფიცირება და დაფინანსების მოდელის ანალიზი. 3-წევრიანი ჯგუფი: ლატარიების, აზარტულ და მომგებიან თამაშობებზე მოზარდებისა და ახალგაზრდების დამოკიდებულების პრევენციის და გამოჯანმრთელების პოლიტიკა, გამოწვევები და მოგვარების პერსპექტივები; მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მათი სოციალური და ემოციური მდგომარეობის გავლენის შეფასება და არსებული მხარდაჭერი მექანიზმების ეფექტიანობა. 6-წევრიანი ჯგუფი: საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და არსებული გამოწვევები. 9-წევრიანი ჯგუფი: დიასპორის ჩართულობა საქართველოს განვითარებისთვის, დიასპორის მდგრადი კავშირების მოზიდვა.

მატური მოკვლევის მცირეწევრიანი ჯგუფების შექმნა, რომელთა რაოდენობაც არ აღემატება შემქმნელი სუბიექტის წევრთა 1/3-ს.

2023 წლის საშემოდგომო სესია

2023 წლის საშემოდგომო სესიაზე შეიქმნა ორი 3-წევრიანი, ერთი 4-წევრიანი და ერთი 8-წევრიანი ჯგუფები.²¹⁷

მისასალმებელია, რომ 2023 წლის საშემოდგომო სესიაზეც შენარჩუნებულია მოქნილი, მცირეწევრიანი ჯგუფების შექმნის ტენდენცია.

2024 წლის საგაზაფხულო სესია

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე 2 ჯგუფი შეიქმნა. აქედან, ერთი შედგებოდა 4 წევრისგან, ხოლო მეორე - 10-ისგან.²¹⁸

დასაფასებელია, რომ მოქნილი ჯგუფების შექმნის ტენდენცია ნარჩუნდება.

6.4.4. ჯგუფის წევრობა

თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი დეპუტატი. რეგლამენტით, ამ მხრივ, რაიმე შეზღუდვა დაწესებული არ არის. საიას პოზიციაა, რომ ჯგუფის წევრი მხოლოდ მისი შემქმნელი სუბიექტის წევრი შეიძლება იყოს.²¹⁹ 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე ეს პრინციპი 4 ჯგუფში 5-ჯერ დაირღვა.²²⁰ ეს რეგლამენტის მოთხოვნების დაუცველობაა. **რეკომენდებულია, ერთი მხრივ, თემატური მოკვლევის დაწყებისას ჯგუფის წევრები იყვნენ შემქმნელი სუბიექტის წევრები, ხოლო, მეორე მხრივ, მოხდეს რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვა მისი შექმნისას.**

6.4.5. ჯგუფის უფლებამოსილების ვადა და მისი დასკვნა

თემატური მოკვლევის ჯგუფის უფლებამოსილების ვადა არის 3 თვე, რომელიც შეიძლება გაიზარდოს არაუმეტეს 2 თვით.²²¹ 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე შექმნილი ჯგუფებიდან 6-მა დასკვნა ვადის დარღვევით წარმოადგინა.²²² ეს ჯგუფებია: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე; მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მათი სოციალური და ემოციური მდგომარეობის გავლენის შეფასება და არსებული მხარდაჭერი მე-

²¹⁷ იქვე. 3-წევრიანი ჯგუფები: სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ინკლუზია სახელოვნებო განათლების სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში. 4-წევრიანი ჯგუფი: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა აგრარულ დარგში (კერძო ფინანსური ინსტიტუტების ჭრილში). 8-წევრიანი ჯგუფი: საქართველოში ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და არსებული გამოწვევები.

²¹⁸ იქვე. 4-წევრიანი ჯგუფი: საზღვარგარეთ მოქმედი ქართული საკვირაო სკოლების (მათ შორის, სახელოვნებო განათლების მიმართულებით) და ანსამბლების საქმიანობის გაძლიერება. 10-წევრიანი ჯგუფი: დეცენტრალიზაციის როლი და გამოწვევები მუნიციპალიტეტების თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

²¹⁹ ვ. მენაბდე, გ. ალავერდაშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 71.

²²⁰ იხ. ცხრილი №3.

²²¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

²²² იხ. ცხრილი №2.

ქანიზმების ეფექტიანობა; საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური და სკოლის ექიმების ნორმების დაცვის პრაქტიკა და არსებული გამოწვევები; საქართველოს რეგიონებში მდებარე საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე არსებული გამოწვევების განსაზღვრა და მხარდაჭერი მექანიზმების შემუშავება, პროფესიულ განათლებაში შრომის ბაზართან თავსებადი პრიორიტეტების იდენტიფიცირება და დაფინანსების მოდელის ანალიზი.²²³ 2-თვიან დამატებით ვადაში დასკვნა 2-მა ჯგუფმა წარმოადგინა.²²⁴ ესენია: ინოვაციების ხელშეწყობის ინსტრუმენტების განვითარების საკანონმდებლო ჩარჩო; ლატარიების, აზარტულ და მომგებიან თამაშობებზე მოზარდებისა და ახალგაზრდების დამოკიდებულების პრევენციის და გამოჯანმრთელების პოლიტიკა, გამოწვევები და მოგვარების პერსპექტივები.²²⁵ ერთ მათგანს კი დასკვნა არ წარმოუდგენია.²²⁶ ეს ჯგუფია: დიასპორის ჩართულობა საქართველოს განვითარებისთვის, დიასპორის მდგრადი კაპიტალის მოზიდვა.²²⁷ კომიტეტის სხდომაზე განიხილეს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა.²²⁸ ასევე, კომიტეტს წარუდგინა შემდეგი ჯგუფის დასკვნა: ლატარიების, აზარტულ და მომგებიან თამაშობებზე მოზარდებისა და ახალგაზრდების დამოკიდებულების პრევენციის და გამოჯანმრთელების პოლიტიკა, გამოწვევები და მოგვარების პერსპექტივები.²²⁹ ბიუროს წარუდგინა შემდეგი ჯგუფების დასკვნები: მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მათი სოციალური და ემოციური მდგომარეობის გავლენის შეფასება და არსებული

²²³ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა თემატური მოკვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები მოისმინა, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/dargobrivi-ekonomikisa-da-ekonomikuri-politikis-komitetma-tematuri-mokvlevis-safudzvelze-shemushavebuli-rekomendatsiebi-moismina>, განახლებულია: 22.01.24. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა და რეკომენდაციები განიხილა, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/janmrtelobis-datsvisa-da-sotsialur-sakitkhta-komitetma-tematuri-mokvlevis-jgufis-mier-momzadebuli-daskvna-da-rekomendatsiebi-ganikhila>, განახლებულია: 22.01.24.

²²⁴ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა თემატური მოკვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები მოისმინა, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/dargobrivi-ekonomikisa-da-ekonomikuri-politikis-komitetma-tematuri-mokvlevis-safudzvelze-shemushavebuli-rekomendatsiebi-moismina>, განახლებულია: 22.01.24. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა და რეკომენდაციები განიხილა, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/janmrtelobis-datsvisa-da-sotsialur-sakitkhta-komitetma-tematuri-mokvlevis-jgufis-mier-momzadebuli-daskvna-da-rekomendatsiebi-ganikhila>, განახლებულია: 22.01.24.

²²⁵ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა თემატური მოკვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები მოისმინა, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/dargobrivi-ekonomikisa-da-ekonomikuri-politikis-komitetma-tematuri-mokvlevis-safudzvelze-shemushavebuli-rekomendatsiebi-moismina>, განახლებულია: 22.01.24. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა და რეკომენდაციები განიხილა, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/janmrtelobis-datsvisa-da-sotsialur-sakitkhta-komitetma-tematuri-mokvlevis-jgufis-mier-momzadebuli-daskvna-da-rekomendatsiebi-ganikhila>, განახლებულია: 22.01.24.

²²⁶ იხ. ცხრილი №2.

²²⁷ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა თემატური მოკვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები მოისმინა, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/dargobrivi-ekonomikisa-da-ekonomikuri-politikis-komitetma-tematuri-mokvlevis-safudzvelze-shemushavebuli-rekomendatsiebi-moismina>, განახლებულია: 22.01.24. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა და რეკომენდაციები განიხილა, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/janmrtelobis-datsvisa-da-sotsialur-sakitkhta-komitetma-tematuri-mokvlevis-jgufis-mier-momzadebuli-daskvna-da-rekomendatsiebi-ganikhila>, განახლებულია: 22.01.24.

²²⁸ იხ. ცხრილი №2.

²²⁹ იქვე.

მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობა; საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური და სკოლის ექიმების ნორმების დაცვის პრაქტიკა და არსებული გამოწვევები; საქართველოს რეგიონებში მდებარე საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე არსებული გამოწვევების განსაზღვრა და მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავება; პროფესიულ განათლებაში შრომის ბაზართან თავსებადი პროფესიების იდენტიფიცირება და დაფინანსების მოდელის ანალიზი; ინოვაციების ხელშეწყობი ინსტრუმენტების განვითარების საკანონმდებლო ჩარჩო. ამ შემთხვევებში, როცა ერთი კომიტეტის მიერ შექმნილი ჯგუფის დასკვნა, კომიტეტზე განხილვის გარეშე, პირდაპირ ბიუროს გადაეცემა, არ შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს.²³⁰ 2023 წლის სამემოდგომო სესიაზე შექმნილი ჯგუფებიდან ვადის დარღვევით დასკვნა შეიმუშავა 3-მა მათგანმა. ესენია ჯგუფები: სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ინკლუზია სახელოვნებო განათლების სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში; საქართველოში ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და არსებული გამოწვევები.²³¹ ძირითად დროზე დამატებულ 2 თვეში დასკვნა წარმოადგინა ერთმა ჯგუფმა:²³² ფინანსებზე ხელმისაწვდომობა აგრარულ დარგში (კერძო ფინანსური ინსტიტუტების ქრილიში).²³³ 2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე შექმნილი ჯგუფებიდან არცერთს არ შეუმუშავებია დასკვნა და მუშაობას აგრძელებენ.²³⁴ რეკომენდებულია რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვა.

წინა კვლევის ფარგლებში, 2022 წლის სამემოდგომო სესიაზე, 3 ჯგუფიდან 2-ს უფლებამოსილების ვადა ამოწურული არ ჰქონდა, ხოლო ერთს ამოეწურა, თუმცა დასკვნა დაგვიანებით შეიმუშავა.²³⁵ ამ ეტაპისთვის დასკვნა ორივე ჯგუფს წარმოდგენილი აქვს.²³⁶ კომიტეტებმა ისინი განიხილეს და მხარი დაუჭირეს.²³⁷

საანგარიშო პერიოდში კვლავ დაირღვა რეგლამენტი თემატური მოკვლევის ჯგუფების მიერ. ისინი ვერ ახერხებენ დათქმულ ვადაში დასკვნების შემუშავებას. ამიტომ, **რეკომენდებულია, რეგლამენტით განისაზღვროს შესაძლებლობა, რომ ყოველი კონკრეტული ჯგუფის უფლებამოსილების ვადა დადგინდეს საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე.**²³⁸ აუცილებელია რეკომენდაციების შემუშავება და შესაბა-

²³⁰ მაგ. იხ. პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

²³¹ იხ. ცხრილი №2.

²³² იქვე.

²³³ იქვე.

²³⁴ იქვე.

²³⁵ გ. ალავერდაშვილი, ნ. კაპანაძე, „საპარლამენტო კონტროლი მეათე მოწვევის პარლამენტში: პირველი ნაწილი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023, 72-73.

²³⁶ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თემატური მოკვლევის დასკვნა ციფრული ეკონომიკის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/dargobrivi/cifruli-ekonomika/daskvna-cifruli-ekonomika.pdf>, განახლებულია: 23.01.24. თემატური მოკვლევა „ბაზრის მოთხოვნაზე მორგებული განათლების ხელმისაწვდომობა თანამედროვე აგრარული და გარემოსდაცვითი მიმართულებებით“, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/agaruli-ganatileba-garemo/mokvlevis%20angarishi/NDI-tematuri-mokvleva.pdf>, განახლებულია: 23.01.24.

²³⁷ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომის ოქმი №12, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/353052>, განახლებულია: 23.01.24. თემატური მოკვლევის პრეზენტაცია - „ბაზრის მოთხოვნაზე მორგებული განათლების ხელმისაწვდომობა თანამედროვე აგრარული და გარემოსდაცვითი მიმართულებებით“, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/tematuri-mokvlevis-prezentatsia-bazris-motkhovnazemorgebuli-ganatilebis-xelmisastvdomoba-tanamedrove-agraruli-da-garemosdatsviti-mimartulebebit>, განახლებულია: 23.01.24.

²³⁸ საია ამ პოზიციას, წლებია, ადვოკატირებს. ვ. მენაბდე, გ. ალავერდაშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 72.

მის აღრესატებთან გაგზავნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თემატური მოკვლევის ჯგუფის სამუშაო აკადემიურ საქმიანობას დაემსგავსება, რაც საპარლამენტო კონტროლის მიზნებს არ ემსახურება.²³⁹

6.5. სამუშაო ჯგუფის შექმნა, დაკომპლექტება და უფლებამოსილების ვადა

2023-24 წლებში სულ 8 სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. ისინი ქვემოთ დეტალურადაა განხილული. საყურადღებოა, რომ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში ორი წლის განმავლობაში არცერთ საკითხზე არ შექმნილა სამუშაო ჯგუფი. ხაზგასასმელია ისიც, რომ მსგავსი ტენდენცია ამ კომიტეტთან მიმართებით მხოლოდ მეათე მოწვევის პარლამენტში შეინიშნება.²⁴⁰

მოქმედი რეგულაციით, სამუშაო ჯგუფში, კომიტეტის შეხედულებისამებრ, შესაძლებელია, შევიდნენ პარლამენტის წევრები, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები, აგრეთვე, სხვა დაინტერესებული პირები.²⁴¹ წინა რედაქციით, ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლებოდა შესულიყვნენ პარლამენტის წევრები და დარგის ექსპერტები.²⁴² მოქმედი რედაქცია იმეორებს წინა ნორმის მიდგომას იმის თაობაზე, რომ დარგის სპეციალისტთა ჩართვას სამუშაო ჯგუფში არა სავალდებულო, არამედ ფაკულტატიური ხასიათი აქვს. ამიტომ, ძალაშია საიას რეკომენდაცია, რომ ჯგუფის წევრთა შორის სავალდებულოდ იყვნენ როგორც დარგის ექსპერტები, ისე პარლამენტის წევრები.²⁴³

მისასალმებელია, რომ ახალი მოწვევის პარლამენტში კომიტეტები კენჭისყრის საფუძველზე, კომიტეტის აქტით ქმნიან სამუშაო ჯგუფს. ეს შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს.

2023 წლის საგაზაფხულო სესია

2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე ორმა კომიტეტმა შექმნა 3 სამუშაო ჯგუფი.²⁴⁴

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2023 წლის 26 აპრილის კომიტეტის სხდომაზე შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზნად განისაზღვრა „2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში წარმოდგენილი, საქართველოს პარლამენტისადმი მიმართული წინადადებების გათვალისწინების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა.²⁴⁵ მისი უფლებამოსილების ვადა 3 თვით განისაზღვრა.²⁴⁶ ჯგუფის შექმნის ინიციატორი იყო კომიტეტის თავმჯდომარე და მას მხარი დაუჭირა კომიტეტის 7-მა წევრმა, რომელთაგან საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენდა 6 მათგანი, ხოლო ოპოზიციას - 1.²⁴⁷

²³⁹ ვ. მენაბდე, გ. ალავერდაშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 76.

²⁴⁰ იქვე, 169.

²⁴¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 46-ე მუხლის პირველი პუნქტი.

²⁴² იქვე, 46-ე მუხლი (2022 წლის 7 ივნისის ცვლილებებამდე რედაქცია).

²⁴³ ვ. მენაბდე, გ. ალავერდაშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 81.

²⁴⁴ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁴⁵ იქვე.

²⁴⁶ იქვე.

²⁴⁷ იქვე.

ჯგუფი დაკომპლექტებული იყო 18 წევრით: 3 - ოპოზიციიდან, 15 - უმრავლესობიდან.²⁴⁸ მასში არ შედიოდა დარგის ექსპერტი.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა საკუთარი გადაწყვეტილებით შექმნა 2 სამუშაო ჯგუფი: შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე - 3 თვის ვადით და საპენსიო საკითხებთან დაკავშირებით - 5 თვის ვადით.²⁴⁹ პირველ ჯგუფში შედის 11 წევრი.²⁵⁰ მათგან 3 უმრავლესობის წევრია, 6 - აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, ხოლო 2 - ექსპერტი.²⁵¹ მეორე სამუშაო ჯგუფში შედის 12 წევრი.²⁵² მათგან 6 უმრავლესობის წევრია, 1 - ოპოზიციის, 5 კი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი.²⁵³ კომიტეტის მიერ 2023 წლის 3 ივლისს მიღებული გადაწყვეტილებით, შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე შექმნილ სამუშაო ჯგუფს ვადა გაუგრძელდა 3 თვით, მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე.²⁵⁴ საპენსიო საკითხებთან დაკავშირებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს 20 ნოემბრამდე უნდა წარედგინა კომიტეტისთვის ანგარიში,²⁵⁵ რომელიც, საბოლოოდ, 5 დეკემბერს წარადგინა და ამით თავისი უფლებამოსილების ვადას გადააცილა.²⁵⁶

2023 წლის საშემოდგომო სესია

2023 წლის საშემოდგომო სესიაზე შეიქმნა 2 სამუშაო ჯგუფი 2 კომიტეტში.

აგრარულ საკითხთა კომიტეტმა 2023 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე შექმნა სამუშაო ჯგუფი: ქართული ხორბლის კულტურა, ტრადიციები და რიტუალები. ინიციატორი იყო კომიტეტის თავმჯდომარე და მას კომიტეტის 12-მა წევრმა მხარი ერთხმად დაუჭირა.²⁵⁷ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედის უმრავლესობის 4 წევრი.²⁵⁸ იგი ასევე დაკომპლექტებულია სხვა პირებით - როგორც პარლამენტის გარე, ისე შიდა ექსპერტებით, ჯამში, 10 ადამიანით.²⁵⁹ შესაბამისად, ჯგუფი 14 წევრითაა წარმოდგენილი. უფლებამოსილების ვადა იყო 3 თვე, რომლის გასვლის შემდეგაც ჯგუფმა მუშაობა დაასრულა.²⁶⁰

²⁴⁸ იქვე.

²⁴⁹ იქვე.

²⁵⁰ საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილება კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/jandacva/samushao-jgufebi/shshm/samushao-jgufi-shshm.pdf>, განახლებულია: 24.01.24.

²⁵¹ იქვე.

²⁵² საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილება კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/jandacva/samushao-jgufebi/sapensio/sapensio-jgufi.pdf>, განახლებულია: 24.01.24.

²⁵³ იქვე.

²⁵⁴ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁵⁵ საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილება კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/jandacva/samushao-jgufebi/sapensio/sapensio-jgufi.pdf>, განახლებულია: 24.01.24.

²⁵⁶ ინფორმაცია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ საპენსიო საკითხებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/jandacva/samushao-jgufebi/sapensio/info-samushao-jgufis-shedegebi.pdf>, განახლებულია: 24.04.24.

²⁵⁷ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁵⁸ იქვე.

²⁵⁹ იქვე.

²⁶⁰ იქვე.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2023 წლის 10 ნოემბრის სხდომაზე, კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მხარი დაუჭირა კომიტეტის 6-მა წევრმა.²⁶¹ ყველა მათგანი საპარლამენტო უმრავლესობიდან იყო.²⁶² სამუშაო ჯგუფის მიზნად განისაზღვრა საქართველოს 2040 მოქალაქის ხელმოწერით წარმოდგენილი პეტიციით „თერაპია თათებით“ შემოთავაზებული ინიციატივის განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მიერ მიუსაფარი ცხოველების აყვანასა და მოვლას შეეხებოდა.²⁶³ ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა 5 დეპუტატი - ყველა მათგანი უმრავლესობიდან, ასევე 7 წევრი, რომელთაგან 6 სხვადასხვა საჯარო დაწესებულებას წარმოადგენდა, ხოლო 1 მოქალაქე იყო.²⁶⁴ ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვრა 2 თვე.²⁶⁵

სპორტის კომიტეტში ამ პერიოდში სამუშაო ჯგუფი არ შეუქმნია, თუმცა 2024 წლის 1-ელ ოქტომბრამდე აგრძელებდა მუშაობას 2022 წლის 7 ნოემბერს შექმნილი სამუშაო ჯგუფი სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების შესახებ.²⁶⁶ მისი შექმნის ინიციატორი იყო პარლამენტის წევრი გივი მიქანაძე, რომელსაც ერთხმად მხარი დაუჭირა კომიტეტის 7-მა წევრმა.²⁶⁷ ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა 4 დეპუტატი უმრავლესობიდან და 14 წარმომადგენელი როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან.²⁶⁸

2024 წლის საგაზაფხულო სესია

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე, 4 ივნისს, შეიქმნა მხოლოდ 1 სამუშაო ჯგუფი იურიდიულ საკითხთა კომიტეტში.²⁶⁹ მისი მიზანი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტისთვის ასარჩევად წარმოდგენილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობა.²⁷⁰ ჯგუფი დაკომპლექტდა როგორც პარლამენტის წევრებით, ისე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებით და შესაბამისი დარგის სპეციალისტებით.²⁷¹ სამუშაო ჯგუფი პარლამენტის 17 წევრისგან შედგებოდა, საიდანაც 15 იყო „ქართული ოცნების“, 1 - „ხალხის ძალის“, ხოლო 1 - „ევროპელი სოციალისტების“ წარმომადგენელი.²⁷² მასში ასევე შედიოდა დარგის 2 ექსპერტი.²⁷³ სამუშაო ჯგუფმა 17 დღე იმუშავა.²⁷⁴ ამ პერიოდში მან 2 სხდომა გამართა, რის შემდეგაც მუშაობა დაასრულა.²⁷⁵

²⁶¹ იქვე.

²⁶² იქვე.

²⁶³ იქვე.

²⁶⁴ იქვე.

²⁶⁵ იქვე.

²⁶⁶ იქვე.

²⁶⁷ იქვე.

²⁶⁸ იქვე.

²⁶⁹ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁷⁰ იქვე.

²⁷¹ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა №2-9039/24, 2024 წლის 24 ივნისი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/365854>, განახლებულია: 11.11.24.

²⁷² იქვე.

²⁷³ იქვე.

²⁷⁴ იქვე.

²⁷⁵ იქვე.

6.6. ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესწავლა

რეგლამენტის მიხედვით, კომიტეტი საკუთარი ინიციატივით ან შესაბამისი განცხადების, მიმართვის, პეტიციის საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვს შესაბამის მასალებს და დასკვნას განსახილველად წარუდგენს პარლამენტს.²⁷⁶ არც 2023 წლის საგაზაფხულო და არც სამემოდგომო სესიებზე არცერთ კომიტეტს ამ მექანიზმით არ უსარგებლია.²⁷⁷ ეს უფლებამოსილება კომიტეტებს არც 2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე გამოუყენებიათ.²⁷⁸ ამ მექანიზმს არ უმუშავია არც მე-10 მოწვევის პარლამენტში.²⁷⁹ ამ უფლებამოსილებით კონკრეტული მიზნის მიღწევა კომიტეტს შეუძლია სხვა საკონტროლო მექანიზმების გამოყენებით. ამიტომ, მას არ მიმართავენ. შესაბამისად, რეკომენდებულია მისი ამოღება რეგლამენტიდან.

6.7. უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის სუბიექტები

6.7.1. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი წამყვანი საპარლამენტო სუბიექტია, რომელიც უსაფრთხოების სექტორზე კონტროლს ახორციელებს.²⁸⁰ თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ის აღჭურვილია ყველა იმ საკომიტეტო საკონტროლო უფლებამოსილებით, რომლებიც პარლამენტის რეგლამენტით არის გათვალისწინებული. მათ შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი და გამოჩნდა, როგორ პასიურობდა კომიტეტი მათი გამოყენების ნაწილში. საია, წლებია, ითხოვს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის რეფორმირებას. მისი მანდატი და საკონტროლო სუბიექტთა წრე საკმაოდ დიდია. სწორედ ამიტომ, ჯეროვანი კონტროლის მიზნით, საია მიზანშეწონილად მიიჩნევს მის გაყოფას 2 სრულფასოვან კომიტეტად, რაც შემდგომში კონტროლის ხარისხზეც აისახება.²⁸¹

2024 წელს, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ირაკლი ბერაია, რომელიც მანამდე კომიტეტს თავმჯდომარეობდა, დაზვერვის სამსახურის უფროსი გახდა.²⁸² კომიტეტის ახალ თავმჯდომარედ მისი პირველი მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე აირჩიეს.²⁸³ ამგვარი საკადრო ცვლილებები ძირს უთხრის საპარლამენტო კონტროლის არსს. პირი, რომელიც აკონტროლებდა ორგანოს, მისი ხელმძღვანელი ხდება. ხოლო ეს პირი ახლა მისმა ყოფილმა კოლეგებმა უნდა გააკონტროლონ. ამგვარ სიტუაციაში ჩნდება ეჭვები იმის თაობაზე, რამდენად ჯეროვან შედეგს ველოვართ.

²⁷⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁷⁷ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 და 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილებით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁷⁸ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁷⁹ ვ. მენაბდე, გ. ალავერდაშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 48.

²⁸⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 156-ე მუხლი.

²⁸¹ ვ. მენაბდე, გ. ალავერდაშვილი, თ. გერლიანი, ა. ჯაბაური, ნ. ოდიკაძე, „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 57-59.

²⁸² ირაკლი კობახიძემ დაზვერვის სამსახურის უფროსად ირაკლი ბერაია დანიშნა, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32892452.html>, განახლებულია: 17.12.24.

²⁸³ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ალექსანდრე ტაბატაძემ დაიკავა, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/795704-parlamentis-tavdacvisa-da-ushishroebis-komitetis-tavmjdomaris-tanamdeboba-kartul-ocnebis-deputatma-aleksandre-tabatazem-daikava/>, განახლებულია: 17.12.24.

გაუწევს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი დაზვერვის სამსახურს. ამასთანავე, ქართული პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით და მყიფე დემოკრატიის პირობებში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ყოფილმა კოლეგებმა მისი თანაგუნდელი სათანადოდ შეამოწმონ.

6.7.2. ნდობის ჯგუფი

6.7.2.1. ნდობის ჯგუფის მოწვევა და კვორუმი

ნდობის ჯგუფის სხდომის მოწვევა შეუძლია თავმჯდომარეს ერთპიროვნულად.²⁸⁴ ჯგუფის წევრს კი შეუძლია მოწვევის საკითხი დააყენოს, თუმცა სხდომის გამართვას წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა სჭირდება.²⁸⁵ იმ პირობებში, როცა, რეგლამენტის მიხედვით, 5 წევრიდან 3 უმრავლესობის კვოტაა, რთული წარმოსადგენია, როგორ შეძლებს ოპოზიციის კვოტით დანიშნული წევრი სხდომის მოწვევას. ეს ოპოზიციას ართმევს შესაძლებლობას, მისთვის საინტერესო თემაზე მოიწვიოს ჯგუფის სხდომა. რეკომენდებულია, სხდომის მოწვევა ჯგუფის თითო წევრს შეეძლოს.

2023 წლის საგაზაფხულო სესიის ფარგლებში ნდობის ჯგუფმა გამართა 8 სხდომა,²⁸⁶ ხოლო საშემოდგომო სესიაზე - 6.²⁸⁷ 2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე ჩატარდა ნდობის ჯგუფის 4 სხდომა,²⁸⁸ საშემოდგომო სესიაზე კი - 1.²⁸⁹

როგორც აღინიშნა, ცვლილებები იყო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში. ვინაიდან ყოფილი თავმჯდომარე ბერაია ნდობის ჯგუფის 5 წევრიდან ერთ-ერთი იყო, მისი წასვლის შემდეგ ეს ადგილი მისმა ადგილმონაცვლემ დაიკავა, ხოლო უმრავლესობის კვოტა შემდგომში „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილმა თენგიზ შარმანაშვილმა შეავსო.²⁹⁰ შესაბამისად, 2024 წელს, კვორუმის თვალსაზრისით, ნდობის ჯგუფს პრობლემა არ ჰქონია.

6.7.2.2. მანდატი

ნდობის ჯგუფი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს. ამისთვის მას წარედგინება ინფორმაცია განსახორციელებელი, განხორციელებული და მიმდინარე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.²⁹¹ ასევე, მას მიეწოდება უწყების სტრუქტურისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების შემცველი საიდუმლო ნორმატიული აქტი.²⁹² წელიწადში ერთხელ, თუმცა არაუგვიანეს 15 აპრილისა, შესაბამისი უწყებები ჯგუფს წარუდგენენ მოხსენებას წინა წელს განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების თაობაზე, ხოლო ოტს - გაწეული საქმი-

²⁸⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 158-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁸⁵ იქვე.

²⁸⁶ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁸⁷ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁸⁸ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁸⁹ ნდობის ჯგუფის სხდომაზე კონტრტერორისტული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/ndobis-jgufis-skhdomez-konttrterroristuli-sakmianobis-shesakheb-informatsia-moismines>, განახლებულია: 17.12.24.

²⁹⁰ ფრაქცია „ქართული ოცნების“ 2024 წლის 18 აპრილის წერილი პარლამენტის ბიუროს, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/360609>, განახლებულია: 17.12.24.

²⁹¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

²⁹² იქვე, მე-7 პუნქტი.

ანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს.²⁹³ ასევე, ჯგუფს შეუძლია: ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო შეამოწმოს წელიწადში არაუმეტეს 2-ჯერ,²⁹⁴ თავმჯდომარის თანხმობით ეწვიოს სხვადასხვა უწყებას,²⁹⁵ შესაბამისი უწყებებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია,²⁹⁶ დაიბაროს თანამდებობის პირები საკუთარ სხდომებზე.²⁹⁷ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ განხილულ უფლებამოსილებათა განხორციელების ფარგლებში გამოიკვეთება დანაშაულის ნიშნები, ჯგუფი ვალდებულია, მიმართოს საგამოძიებო ორგანოს და წარუდგინოს მის ხელთ არსებული მასალები.²⁹⁸

6.7.2.3. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

შესაბამისი უწყებები ვალდებული არიან, ნდობის ჯგუფს წარუდგინონ დეტალური ინფორმაცია განსახორციელებელი საიღუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.²⁹⁹ თუმცა, ეს ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 4 000 000-ს.³⁰⁰

2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე განსახორციელებელი საიღუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ინფორმაცია პარლამენტის ნდობის ჯგუფს წარუდგინეს შემდეგმა ანგარიშვალდებულმა უწყებებმა: საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ – 13-ჯერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა, საქართველოს დაზვერვის სამსახურმა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა - თითო-თითოჯერ.³⁰¹

2023 წლის საშემოდგომო სესიაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ჯამში 5-ჯერ წარუდგინა ნდობის ჯგუფს ინფორმაცია: 2023 წლის 4 ოქტომბერს, 1-ელ ნოემბერს, ასევე, 6, 7 და 22 დეკემბერს.³⁰²

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე თავდაცვის სამინისტრომ 7-ჯერ წარადგინა ინფორმაცია, ხოლო სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა, ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა - თითო-თითოჯერ.³⁰³

6.7.2.4. საიღუმლო ნორმატიული აქტის გაცნობის ვალდებულება

პრემიერ-მინისტრი, მთავრობა და შესაბამისი უწყებები ვალდებული არიან, ნდობის ჯგუფს გააცნონ უწყების სტრუქტურისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების შემცველი საიღუმლო ნორმატიული აქტი 2 კვირის შემდეგ, რაც იგი შევა ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის საიღუმლო ნაწილში.³⁰⁴

²⁹³ იქვე, მე-9 პუნქტი.

²⁹⁴ იქვე, მე-12 პუნქტი.

²⁹⁵ იქვე, მე-11 პუნქტი.

²⁹⁶ იქვე, მე-2 პუნქტი.

²⁹⁷ იქვე, მე-10 პუნქტი.

²⁹⁸ იქვე, მე-13 პუნქტი.

²⁹⁹ იქვე, მე-5 პუნქტი.

³⁰⁰ იქვე.

³⁰¹ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³⁰² საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³⁰³ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³⁰⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

ჯგუფისთვის აქტის გაცნობის შემდეგ ის დაუყოვნებლივ უბრუნდება შესაბამის უწყებას.³⁰⁵

საანგარიშო პერიოდში, რეგლამენტის შესაბამისად, სტრუქტურისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების შემცველი საიდუმლო ნორმატიული აქტი რეგლამენტით დადგენილ ვადაში ნდობის ჯგუფს გააცნო საქართველოს დაზვერვის სამსახურმა.³⁰⁶

6.7.2.5. ჯგუფისთვის გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარდგენა

შესაბამისი უწყებები ნდობის ჯგუფს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 აპრილისა, წარუდგენენ მოხსენებას წინა წელს განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ.³⁰⁷ განსხვავებული მოთხოვნებია დადგენილი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსთვის. იგი წარადგენს გაწეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს.³⁰⁸

2023 წელს ეს ვალდებულება შეასრულეს შემდეგმა უწყებებმა: საქართველოს დაზვერვის სამსახური (9 თებერვალი), საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (14 თებერვალი), საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (27 მარტი), საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (6 აპრილი), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (12 აპრილი), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური (12 აპრილი). ამასთანავე, სსიპ – ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ გაწეული საქმიანობის სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიში ჯგუფს წარუდგინა 2023 წლის 11 აპრილს.³⁰⁹

6.7.2.6. მონიტორინგის ვიზიტი

ნდობის ჯგუფი უფლებამოსილია, ვიზიტით ეწვიოს სხვადასხვა დაწესებულებას.³¹⁰ ამისთვის მას სჭირდება თავმჯდომარის თანხმობა.³¹¹ ვიზიტის ფარგლებში ჯგუფის წევრებს შეუძლიათ, გაესაუბრონ თანამშრომლებს და გაეცნონ ინფორმაციას, რომელიც მის კომპეტენციას განეკუთვნება.³¹² ნიშანდობლივია, რომ ვიზიტის წინ შესაბამისი უწყებას ნდობის ჯგუფის თავმჯდომარის გადაწყვეტილება ეგზავნება.³¹³ საიას რეკომენდაცია ძალაშია და მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფს ვიზიტის განხორციელება უწყებისთვის შეტყობინების გარეშე შეეძლოს.

ნდობის ჯგუფი ასევე უფლებამოსილია, შეამოწმოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.³¹⁴ თუმცა, სხვა უწყებისგან განსხვავებით, მისი შემოწმება შეუძლია წელიწადში არაუმეტეს 2-ჯერ.³¹⁵ ამასთანავე, თავად ჯგუფი განსაზღვრავს, რომელი წევრი/წევრები შეამოწმებს/შეამოწმებენ სააგენტოს.³¹⁶

³⁰⁵ იქვე.

³⁰⁶ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 და 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილებით მოწოდებული ინფორმაცია.

³⁰⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

³⁰⁸ იქვე.

³⁰⁹ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³¹⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

³¹¹ იქვე.

³¹² იქვე.

³¹³ იქვე.

³¹⁴ იქვე, მე-12 პუნქტი.

³¹⁵ იქვე.

³¹⁶ იქვე.

2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე ნდობის ჯგუფის წევრებმა 6 ვიზიტი განახორციელეს შემდეგ უწყებებში: საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ განთავსებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფები (2 ვიზიტი), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს – ბესიკ ქუთათელაძის სახელობის სამთო მომზადების სკოლა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის (სდსს) სასწავლო ცენტრი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს – გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს – მაიორ გელა ჭელიას სახელობის სპეციალური ოპერაციების საწვრთნელი ცენტრი.³¹⁷

2023 წლის საშემოდგომო სესიაზე ნდობის ჯგუფის წევრებმა 4 ვიზიტი განახორციელეს შემდეგ უწყებებში: მახათას მთაზე მდებარე „ჯარის ქალაქის“ მშენებლობა; ვაზიანის სასროლეთზე გამართული საჩვენებელი ღონისძიება; საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების სარდლობის (მუხროვანის) ბაზა; სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.³¹⁸

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე 2024 წლის 3 ივნისს საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის თავმჯდომარემ ალექსანდრე ტაბატაძემ და ნდობის ჯგუფის წევრმა ანრი ოხანაშვილმა განახორციელეს ვიზიტი ქ. გორში განთავსებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს I ქვეითი ბრიგადის სამხედრო ბაზაზე.³¹⁹

6.7.2.7. ინფორმაციის გამოთხოვნა

შესაბამისი უწყებები ვალდებული არიან, ნდობის ჯგუფს, მოთხოვნის არსებობისას, წარუდგინონ მისი უფლებამოსილების შეუფერხებელი განხორციელებისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.³²⁰ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსგან ინფორმაციის გამოთხოვნას ერთი დათქმა აქვს. იგი ჯგუფს აძლევს მხოლოდ გაწეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს.³²¹ ინფორმაციის მიწოდებაზე უარის შემთხვევაში, შესაბამისი უწყებები ვალდებული არიან, ნდობის ჯგუფს წარუდგინონ უარის წერილობითი დასაბუთება.³²²

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე, 27 ივნისს, ნდობის ჯგუფმა ინფორმაცია გამოითხოვა შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებისგან, აგრეთვე, დაზვერვის სამსახურისა და ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსგან.³²³ საანგარიშო პერიოდში შემავალ სხვა სესიებზე ნდობის ჯგუფს ეს უფლებამოსილება არ გამოუყენებია.

6.7.2.8. თანამდებობის პირის სხდომაზე დაბარება

შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებს ან, ნდობის ჯგუფთან შეთანხმებით, მათ მიერ უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ, დაესწრონ ჯგუფის სხდომებს, უპასუხონ დასმულ შეკითხვებს, წარმოადგინონ შესაბამისი მასალები და გაწეული საქმიანო-

³¹⁷ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³¹⁸ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³¹⁹ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³²⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

³²¹ იქვე.

³²² იქვე, მე-4 პუნქტი.

³²³ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

ბის ანგარიში.³²⁴ ხოლო ნდობის ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში, მათ ზემოთ დასახელებული ქმედებების განხორციელების ვალდებულება აქვთ.³²⁵

2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე ნდობის ჯგუფმა გამართა 8 სხდომა, რომლებსაც თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებებიდან ესწრებოდნენ შემდეგი თანამდებობის პირები: 1. 2023 წლის 9 თებერვალს: საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი შალვა ლომიძე და მისი პირველი მოადგილე გიორგი ლილუაშვილი; 2. 2023 წლის 14 თებერვალს: საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე და ამავე სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; 3. 2023 წლის 27 მარტს: საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, მისი მოადგილეები გრიგოლ გიორგაძე და გიორგი ხაინდრავა, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე და გენერალური შტაბის უფროსი; 4. 2023 წლის 6 აპრილს: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი და მისი პირველი მოადგილე ალექსი ბატიაშვილი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსი; 5. 2023 წლის 12 აპრილს (სხდომა 1): საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები ალექსანდრე დარაჩველიძე და გიორგი ბუთხუზი; 6. 2023 წლის 12 აპრილს (სხდომა 2): საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭიიშვილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი ნიკა ცხვარაშვილი; 7. 2023 წლის 8 ივნისს: საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი შალვა ლომიძე და მისი პირველი მოადგილე გიორგი ლილუაშვილი, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი; 8. 2023 წლის 19 ივნისს: საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი და საქართველოს თავდაცვის ძალების ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ბრიგადის გენერალი.³²⁶

2023 წლის საშემოდგომო სესიაზე გაიმართა 6 სხდომა, რომლებსაც თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებებიდან ესწრებოდნენ შემდეგი თანამდებობის პირები: 1. 2023 წლის 29 სექტემბერს: საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი შალვა ლომიძე და მისი პირველი მოადგილე გიორგი ლილუაშვილი, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი; 2. 2023 წლის 29 სექტემბერს: საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ხაინდრავა და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე; 3. 2023 წლის 13 ოქტომბერს: საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ხაინდრავა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ალექსი ბატიაშვილი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე გიორგი ლილუაშვილი და დაზვერვის სამსახურის საფინანსო სამმართველოს უფროსი, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარაჩველიძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭიიშვილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

³²⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

³²⁵ იქვე.

³²⁶ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 21 სექტემბრის №7010/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

ნისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი ნიკა ცხვარაშვილი და სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი; 4. 2023 წლის 14 დეკემბერს: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ალექსი ბატიაშვილი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი გიორგი საბედაშვილი; 5. 2023 წლის 14 დეკემბერს: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ალექსი ბატიაშვილი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორი; 6. 2023 წლის 26 დეკემბერს: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან ახოხაძე და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის დირექტორის მოადგილე.³²⁷

2024 წლის საგაზაფხულო სესიაზე ნდობის ჯგუფმა გამართა 4 სხდომა 2 სხვადასხვა დღეს.³²⁸ 2 სხდომა ჩატარდა 2024 წლის 6 მარტს.³²⁹ ამ დღეს გამართულ პირველ სხდომას ესწრებოდნენ: დაზვერვის სამსახურის უფროსი შალვა ლომიძე, მისი პირველი მოადგილე გიორგი ლილუაშვილი და დაზვერვის სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი.³³⁰ ამავე დღეს გამართულ მეორე სხდომას ესწრებოდნენ: იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი.³³¹ 2 სხდომა ჩატარდა 2024 წლის 28 მარტს.³³² პირველს ესწრებოდნენ: სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი; მეორე სხდომას ესწრებოდნენ: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი, მისი პირველი მოადგილე ალექსი ბატიაშვილი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის დირექტორი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორი.³³³

2024 წლის სამემოდგომო სესიაზე ნდობის ჯგუფს სხდომა არ ჩაუტარებია.

³²⁷ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 18 მარტის №1908/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³²⁸ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №5495/2-7/24 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

³²⁹ იქვე.

³³⁰ იქვე.

³³¹ იქვე.

³³² იქვე.

³³³ იქვე.

VII. რეკომენდაციები

კვლევის შედეგად, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების თეორიული და პრაქტიკული ანალიზის საფუძველზე, საიამ შეიმუშავა რეკომენდაციები. მნიშვნელოვანია, რომ ისინი განხილული იყოს კვლევის პირველ ნაწილში წარმოდგენილ რეკომენდაციებთან ერთად, რათა მოხდეს ერთიანი ხედვის წარმოდგენა მეათე მოწვევის პარლამენტის სრულ საქმიანობასთან დაკავშირებით:

- აუცილებელია, რომ პრემიერის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა მისთვის ნდობის გამოცხადების წლისთავს დაემთხვეს;
- რეკომენდებულია, ოპოზიციამ გამოიყენოს პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის პლატფორმა, რათა უზრუნველყოს მთავრობის მეთაურის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე;
- აუცილებელია, საარჩევნო წელს ისე დაიგეგმოს საკონტროლო მექანიზმების აღსრულება, რომ არჩევნებამდე ყველა ანგარიშვალდებული მინისტრის საქმიანობის შეფასება იყოს შესაძლებელი;
- აუცილებელია, დეპუტატებმა აქტიურად გამოიყენონ მინისტრის საათის მექანიზმი და დაესწრონ მას;
- რეკომენდებულია, მინისტრს არ გამოეყოს დამატებითი დრო სხვა მიმდინარე საკითხებზე სასაუბროდ მინისტრის საათის ფორმატში;
- ზედამხედველობის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ დეპუტატები, ანგარიშვალდებული პირის „მხარდაჭერის“ ნაცვლად, თემატურ კითხვებზე კონცენტრირდნენ;
- რეკომენდებულია, ერთი ინტერპელაციის ფარგლებში გამოირიცხოს ერთმანეთისგან განსხვავებული საკითხების გაერთიანება;
- კანონმდებელმა იმგვარად უნდა გაწეროს პროცედურა, რომ ინტერპელაცია სრულყოფილად წარიმართოს;
- რეკომენდებულია ინტერპელაციის კითხვა-პასუხის ფორმატი შეესაბამებოდეს ინტერპელაციით გაგზავნილი შეკითხვის შინაარსს;
- მნიშვნელოვანია, ინტერპელაციისას განიხილებოდეს მხოლოდ გაგზავნილი შეკითხვები და მომხსენებელი არ გასცდეს მათ;
- რეკომენდებულია, საპარლამენტო უმრავლესობამ არ მიმართოს პროცედურულ ხრიკებს და ხელი არ შეუშალოს ოპოზიციას მათი უფლებების ჯეროვან განხორციელებაში (დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ნაწილში);
- კომიტეტის სამოქმედო გეგმებში მიმართულებები თანაბრად უნდა გადანაწილდეს კომიტეტის წევრებს შორის;
- რეკომენდებულია, კომიტეტის წევრთა ცვლილებები აისახოს სამოქმედო გეგმაშიც. მნიშვნელოვანია, როცა დეპუტატები ტოვებენ კომიტეტს ან პარლამენტს, მათ მიერ აღებული საკითხები გადანაწილდეს დარჩენილ ან კომიტეტში შესულ ახალ წევრებზე. რეგლამენტში უნდა გაჩნდეს ჩანაწერი, რომელიც დაავალდებულებს კომიტეტს, წევრთა ცვლილებიდან მალევე, გონივრულ დროში გადანაწილდეს გასული წევრის მიერ აღებული საკითხები.
- აუცილებელია, თემატურ მომხსენებლად დაინიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი სახელისა და გვარის მითითებით და არა - იურიდიული წარმონაქმნი ან ზოგადი ტერმინებით აღნიშნული სუბიექტი;

- რეკომენდებულია, თემატურმა მომხსენებლებმა მათზე დაკისრებული ვალდებულება ჯეროვნად შეასრულონ და კომიტეტებს შესაბამისი მოხსენება წარუდგინონ;
- თემატური მოკვლევის ჯგუფი დაკომპლექტდეს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია თემატური მოკვლევის დაწყებისას ჯგუფის წევრები იყვნენ შემქმნელი სუბიექტის წევრები;
- რეკომენდებულია, რეგლამენტში გაჩნდეს ჩანაწერი, რომელიც შექმნის შესაძლებლობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, დადგინდეს თემატური მოკვლევის ჯგუფის უფლებამოსილების ვადა;
- აუცილებელია, თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშაოს და შესაბამის ადრესატებს გაუგზავნოს რეკომენდაციები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯგუფის სამუშაო აკადემიურ საქმიანობას დაემსგავსება, რაც საპარლამენტო კონტროლის მიზნებს არ ემსახურება;
- რეკომენდებულია, პარლამენტის წევრები არ გადაიყვანონ ისეთი უწყებების ხელმძღვანელ პოზიციებზე, რომლებსაც ისინი პარლამენტის წევრის რანგში აკონტროლებდნენ.

დანართები

ცხრილი №1. თემატური მომსენებლის დანიშვნის პრაქტიკა საქართველოს პარლამენტში (2023 წელი)

თემატური მომსენებლის აღმნიშვნელი	კომიტეტის წევრის სახელი და გვარი	ოპოზიციის წარმომადგენელი	ჩანაწერი „კომიტეტის წევრი“	მეგობრობის ჯგუფი	დროებითი დელეგაცია	კომიტეტის სამუშაო ჯგუფი	კომიტეტის აპარატი
კომიტეტები							
აგრარულ საკითხთა კომიტეტი ³³⁴	✓ ³³⁵	-	-	-	-	-	-
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ³³⁶	✓ ³³⁷	✓ ³³⁸	✓ ³³⁹	-	-	-	-
განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი ³⁴⁰	✓ ³⁴¹	✓ ³⁴²	✓ ³⁴³	-	-	-	-

³³⁴ აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა განსაზღვრულია 4 ამოცანა და 51 აქტივობა. სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/Agaruli/samoqmedo-gegma-2023.pdf>; განახლებულია: 26.12.23.

³³⁵ აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა განსაზღვრულია 51 აქტივობა შემდეგი რაოდენობით არის განახლებული დეპუტატებზე: ნინო წილოსანი (თავმჯდომარე) - 41 საკითხი, გელა სამხარაული (პირველი მოადგილე) - 14 საკითხი, მალვა კერესელიძე - 5 საკითხი, ზაალ ლემელიძე - 1 საკითხი, სამველ მანუკიანი - 3 საკითხი, გოდერძი ჩანქვლიანი - 3 საკითხი, სუმბატ კოურელიანი - 2 საკითხი, სოზარ სუბარი - 6 საკითხი, გიორგი ცაგარეიშვილი - 1 საკითხი.

³³⁶ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 14 ამოცანა და 56 აქტივობა. სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/adamianis-uflebebi/samoqmedo-gegma-adamiiani-2023.pdf>; განახლებულია: 26.12.23.

³³⁷ კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარგველიძე მომსენებელია 46 საკითხზე, ხოლო მისი პირველი მოადგილე ალუდა ლუღუშაური - 33-ზე, სავალანე მირზოევი - 6-ზე, ვლადიმერ ჩაიბაია - 6-ზე (ვლადიმერ ჩაიბაია 2023 წლის 24 მარტიდან აღარ არის პარლამენტის წევრი), დავით სერგეენკო - 6 საკითხზე (დავით სერგეენკო 2023 წლის 16 ნოემბრიდან აღარ არის პარლამენტის წევრი), ზურაბ დარგალი - 4 საკითხზე.

³³⁸ ოპოზიციიდან მომსენებლები არიან: ანა ბურუკური - 18 საკითხზე, ანა ნაცვლიშვილი - 31-ზე, ტარიელ ნაკაიძე - 12-ზე.

³³⁹ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 11 საკითხზე მომსენებლებად მითითებულია „კომიტეტის წევრები“.

